# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, კომედია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

ფასი 25 კაპ. | 1925 წ. № 5




ივანე პავ. როსტომაშვილი.

გარდაცვალებიდან ექვსი (6) თვის შესრულების გამო.

## სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა ახალი კავშირის საბჭო



აკ. ფაღავა (თავმჯდ.), აკ. ვასაძე, ი. ზარდალიშვილი, ვეჩე ჯიქია, პ. პანდელაკი, კ. ჭურღული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დაიწვა მათხოჯის სახალხო სახლი?

(„თეატრი და ცხოვრება"-ს საგანგებოდ წარგზავნილ კორესპონდენტისგან).

თებერვლის 25 მათხოჯის სახალხო სახლის ერთერთ ოთახში ადგილობრივ ახ. კომკავშირელების პრეზიდიუმს თათბირი ჰქონია. ერთ მათგანს ბურბუშელით სავსე ოთახში (სადაც თათბირობდენ) პაპიროზის ნამწვი (თუ ასანთი) გადაუგდია. რამდენიმე ხნის შემდეგ ხანძარს უფეთქნია. ხელი შეუწყვია ძლიერ ქარს. დახვევია მთელი ხალხი. ხონიდან პ/მ. მუშაკები მიშველებიან და ბევრის მეცადინეობით ჩაუქრიათ ცეცხლი. უზარმაზარ შენობიდან (ორ სართულიანი შენობა, 32 ვეება ოთახი სათ. დარბაზითურთ) მხოლოდ გარუჯული კედლებიღა გამოიყურება. შენობასთან ერთად დამწვარა მასალა და ხელოსანთა იარაღებიც. ჩაქრობის დროს რამდენიმე კაცი დაზიანებულია.

ამის გამო სასწრაფოდ აცნობეს ტფილისში აღმშენებელ საბჭოს თავმჯდომარეს ვარ. ძიძიგურს, რომელიც დაუყონებლივ გაემგზავრა მათხოჯს, გაიწვია გამომძიებელი და ინჟინრები ქუთაისიდან იმის გამოსარკვევად, გადარჩენილიდან რა გამოდგებოდა. მთელი მათხოჯი ამ ამბით ძალზე შეძრწუნებულია. ქვითინებენ და გარუჯულს კედელს თავს ახლიან. მარტის 1 გაიმართა მათხოჯის მცხოვრებთა საზოგადო კრება ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. აღმშენებელ საბჭოს თავმჯდომარე ვ. ძიძიგურმა თავის მოკლე მოხსენების დროს, სხვათა შორის, დაახასიათა, თუ რა სიყვარულით, რა სიბეჯითით აშენებდა ამ სახლს მთელი ხალხი და დასძინა: მხნედ ვიყოთ, თავზე დატეხილ უბედურებას ნუ შეუშინდებით და კვლავ განვაგრძოთ ამ დიადი საქმის დასაგვირგვინებლად მუშაობაო. ამხ. ვლ. ნადარეიშვილმა დაახასიათა, თუ რა წვალებით შენდებოდა ეს სახლი და მოუწოდა: ენერგიულად შეუდგეთ მის აღდგენასო. ასეთივე მოწოდებით მიმართა საზოგადოებას ამხ. გ. ბახტაძემ—გაასკეცებული ენერგიით მოვკიდოთ ხელი და მით დავასრულოთ საამაყოთ დაწყებული საქმეო. საზოგადოება ერთსულოვნად შეხვდა მათს მოწოდებას და გადასწყვიტა: განვაგრძოთ მისი აღდგენაო.. ამავე დღეს ხელახლად აირჩია აღმშენებელი საბჭო, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ისევ ვ. ძიძიგური, საბჭოში —ხონის რაიონის პ მ. მდივანი გ. ბახტაძე, ხონის აღმასკომის თავმჯდ. ვლ. ნადარეიშვილი, ხუნწის თემის თავმჯდ. თეიმ. ხარებავა, ნახახულევის თემის თავმჯ. სოლ. რუხაძე, რკ.-გზის სატყეო რწმუნებული ივანოვი, ხე-ტყის მრეწველი ს. გელაშვილი, ლეჩხუმიდან მუშების წარმომადგენელი ასტერია ომანიძე, ადგილ. ინტელიგენცია და მიწის მუშები, სულ 32 კაცი (დაწვრილებით სიას და დამწვარ სახლის სურათებს შემდეგ მოგაწოდებთ). აირჩა სარევიზიო კომისია (დ. ფირცხალავა, ირ. ძიძიგური, ალ. ბახტაძე) და პრეზიდიუმი (სიას მოგაწვდით). მათხოჯის მეზობელ თემებმა და შორეულ ლეჩხუმმაც დაადგინა: ამ უბედურებაში მათხოჯს დაეხმაროს. მთელ მხარეს იმედი აქვს გლეხობის დახმარებისა. საალმშენებლო საბუთები სრულიად გადარჩენილია. რაიმე ბოროტმოქმედებაზე ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. დაიწვა დაუდევრობით და შემთხვევითი უყურადღებობით.

ს. ზ-ძე

## მათხოჯის სახალხო სახლის დაწვა*)

1925 წ. 25 თებერვალს დილით 11 საათზე დაგვეწვა სახალხო სახლი, ჩვენი დიდება და სიამაყე. გახდა ამ დროს ზარების რეკვა და თოფების სროლა ხალხის გასაგებათ. ხალხმა რომ შეიტყო ჩვენი დიდება იწვება მაშინ თავ ქუდ მოგლეჯით მირბოდენ შენობის გადასარჩენათ. ყველა ტიროდა, თავში ხელს იხათქუნებდა და ყველა დამწუხრებული იყო, რომ თავის სიამოვნება იწვებოდა. ბევრი ეცადენ შველას, მაგრამ რას გახდებოდენ, ვინაიდან ქარი ქროდა საზარელი და მთელი შენობას ერთად მოედო ცეცხლი. მთელი ხალხის შრომა დაილუპა, ცეცხლმა შთანთქა სახალხო სახლი და ისარი ჩასცხო მათხოჯის საზოგადოებას.

და ჩვენც ვტიროდით მოწაფეები სადაც უნდა გაგვეგრძელებია სწავლა.

მათხოჯის შრომის სკოლის მე-III ჯგ.

მოწაფე კუკუ ძიძიგური.

*) იბეჭდება უცვლელად. ავტორი 11 წლისაა. რედ.


# მიიღება 1925 წლის ხელის მოწერა

სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება"-ზე

1910 წ. XV წლიწადი გამოცემისა XV 1925 წ.

**„თეატრი და ცხოვრება"-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ჟურნალის გარდა, ყოველ სამ თვეში ერთხელ **უფასო პრემიას—წელიწადში ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე"-ს,** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**„თეატრი და ცხოვრება"** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—**10 მან., ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-ისთვის 2 მან., ოქტომბრის 1-ისთვის—3 მან., **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში: ტფილისი, რუსთველის პრ. № 34.—რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925
წელიწადი XV
№ 5
(362)
ფასი 25 კაპ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი
რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34
„თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილი

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | მარტის 1—7 | გამოსვლა 1925 წ.


## საქმიანი სტუმრობა

ორშაბათიდან ჩვენს დედაქალაქ ტფილისში, ა/კ გულში, დაიწყება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო მთავრობის მესამე სესიის სხდომები.

ასეთი ყრილობის მოწვევა საქართველოს დედაქალაქში არაჩვეულებრივია: პირველი, მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ყურადღების მაჩვენებელი.

რას მოისმენს ეს ყრილობა?—

კავშირის მთავრობის მუშაობის ანგარიშს, ამ.-კავ. მთავრობის საქმიანობას და სხ. საკითხის შესახებ მოხსენებებს.

რა გაკეთდა დღემდე, რა და როგორ უნდა გაკეთდეს დღეის შემდეგ.

ამრიგად, მიმდინარე სესიას საქმიანი ხასიათი ეძლევა.

კავშირის უმაღლეს დაწესებულების სხდომების საქართველოს დედაქალაქში გამართვა მომასწავებელია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის იმ დედააზრისა, რომელზედაც აგებულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთელი სახელმწიფოებრივი შენობა.

ამ ყრილობაზედვე, უეჭველია, აიწონ-გაიზომება სახელმწიფო მმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენ გვსურს ვირწმუნოთ, რომ უაღრესი ყურადღება მიექცევა გლეხებისა და მუშების, საერთოდ მშრომელი ხალხის კულტურულ ამაღლებას, მის დაწინაურებას.

საკავშირო რესპუბლიკათა მშრომელმა ხალხმა ამ 7—8 წელში ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა: სამოქალაქო ომმა და მისმა შედეგებმა არა ერთი ათასეული სიცოცხლე ჩააქრო.

ასეთ ყოფაში კულტურულ ფრონტზე მუშაობა მაინც სწარმოებდა.

კერძოდ ჩვენში—საქართველოში—ეს მუშაობა კიდევ უფრო ძლიერის ნაბიჯით მოარღვევდა ოღრო-ჩოღროებს.

თუმცა უმეტესად ცალმხრივი, მაგრამ მაინც მწიგნობრობა გაიზარდა, უნივერსიტეტი დაფუძნდა და დღითი-დღე მაღლდება, ხელოვნებათა სხვადასხვა დარგი იფურჩქნება, სათეატრო ხელოვნება იერს იცვლის—გაყინულ წერტილიდან დაიძრა, სწავლა-განათლების საქმე წინ მიიწევს, აღმშენებლობა ფართოვდება.

მაგრამ კიდევ ის არ არის—რაც უნდა იყოს.

სესიის წევრებმა—სტუმრებმა ამ შემთხვევით უნდა ისარგებლონ, მოიარონ ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველოს დაბა-სოფლები, ჩახედონ საქართველოს მშრომელ ხალხს, ქართველ ხალხს გულში, გაიგონ რა სტკივა, რა ესაჭიროება და მის თანახმად იმოქმედონ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, საკავშირო მთავრობა, რომელიც დიდის მოძღვრის ლენინის მცნებათა თანახმად სამოღვაწეოდ არის მოწოდებული, ყველა ერისა და ხალხის ეროვნულ, კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ სურვილ-საჭიროებათ მიუდგომლად, სისწორით, მშრომელთა საჭიროების თვალსაზრისით განაგებს და ქვეყანაში მშვიდობასა და ურთიერთ შორის სიყვარულს დაამყარებს.

ამ მოსაზრებით მივესალმებით ჩვენის დედაქალაქის არაჩვეულებრივ სტუმრებს და ვუსურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას ქვეყნისა და პროლეტარიატის საკეთილდღეოდ; ვუსურვებთ, ეს სტუმრობა გადაქცეულიყოს ყველა ერის თანასწორ-უფლებიანობის მტკიცე დუღაბად.

## მათხოჯელთა ზიანი—საერთო უბედურებაა!

თებერვლის 25 მათხოჯისათვის შავად გათენდა:

ცეცხლმა შთანთქა მთელ საქართველოში საგულიგულოდ დაწყებული მათხოჯელების ბუმბერაზული შენობა—სახალხო სახლი. დიდია ზარალი, განუზომელია მათხოჯელებისა და მათ მეზობელთა მწუხარება, მაგრამ კიდევ უფრო დიდია მათი სულის სიმტკიცე, უბედურებაში გაუტეხაობა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი მხოლოდ ერთის გრძნობით გაიმსჭვალა:

—სულხორციანად გავიყიდებით, ოღონდ ჩვენი სიამაყე, სანუგეშო და მასახელებელი სახალხო სახლი ხელახლად ავაგოთო.

სთქვეს და შესაფერი ნაბიჯიც გადასდგეს.

ასეთ ხალხს ვერავითარი უბედურება ვერ დასძლევს.

ესენი ალბად იმ დიდის კაცის მოდგმისანი არიან, რომელმაც გვიანდერძა „ჭირსა შიგან გამაგრება“..

იმედია, რესპუბლიკის მთავრობა, ორგანიზაციები და ყველა შეგნებული მოქალაქე ყოველის მხრივ დაეხმარებიან მოულოდნელი უბედურებით დაზიანებულ ასეთს თვით მომქმედ ხალხს; შეერთებულის ძალღონით ცრემლები უნდა შეუშროთ მათხოჯელთ, რადგან მათი ზიანი—საერთო უბედურებაა, მათი სახლის აშენება—მთელის რესპუბლიკის მშრომელთა წამქეზებელი!

დაემხო მათხოჯის სახალხო სახლი—გაუმარჯოს მის აღდგენას!

ჩვენი გულითადი თანაგრძნობა მათხოჯელთ!

**იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუჩის მომღერალი

საფლავის ქვის წარწერასავით ნაღვლიანი ჩამოწვა მეინ-ქოლავი დაისი შემოდგომისა.
მოჩვენებად გადაქცეული გაფითრებული ვდგევარ სარკმე-ლთან და გავიყურები გარეთ ციებიანი მზერით.
ეზოში შემოვიდა ვიღაცა მომღერალი ქალი.
გაისმა ქვითინისავით ნაღვლიანი მისი სიმღერა:

დავრდომილი სნეული,
უნუგეშოდ ვსტირი მე...

ძველია, გაცვეთილია ეს სიმღერა.
დაკონკილ, ყაყიან ტანისამოსის ბრანძებსავით ჰფრიალებს ჰაერში...
მაგრამ ჩამფუფქველიც არის...
გამეწამებული გრძნობა ჰქვითინებს იმ ხმებში...
ვინ ჩააქრობს სევდის სახმილს?
საკირესავით მწვავს, მავარვარებს...
ასე მოთქმა შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც ყველაფერი დაუკარგავს, გარდა მოგონებისა.
ეტყობა მწარეა ეს მოგონება.
გახრწნილ მიცვალებულად წინ უსვენია თვისი წარსული...
უარესად უმწარებს მიქნავებულ სიცოცხლეს...
მღერის იმიტომ, რომ განიფანტოს პირტუქსი ფიქრები.
ეჰ, ვერასოდეს დაივიწყებს წარსულს...
არ შეიძლება მიცვალებულად გადაქცეულ მოგონების და-საფლავება.
იგი მარად თანა გვდევს.
საკუთარ ჩრდილსავით ვერსად გავექცევით.
უყურებს ამ მიცვალებულს მომღერალი ქალი და დაჰ-ქვითინებს...
დანასავით სჭრის მისი ჩახლეჩილი ხმა.
უარესად ავალალებს...

* *

კაეშნიანი მელოდიები მუდამ გვაგონებენ ჩვენი ცხოვრე-ბის უძვირფასეს წუთებს...
მომღერლის ქვითინმა მეც გადამიყვანა წარსულის ნეტა-რების პაწია კუნძულზე...
დღეს იგი შორს, ძალიან შორსაა გადაკარგული..
ათიოდე წლების ჯებირებითაა გადახერგილი.

* *

ეს იყო მაშინ, როდესაც მე გაბედნიერებული ვიყავი ახალგაზრდობით და პირველი სიყვარულით, რომელიც არასოდეს არ მეორდება.
ფარშევანგთა ფრთებივით აფერადებულს ბაღნარში უდარ-დელად დავრბოდით მე და ჩემი ტრფიალი—უსიკო...
ჰარმონიას ვგრძნობდით...
გვეგონა თვითმშვენიერების ღმერთი იჯდა ჩვენს გულში..
ის გვაქეზებდა საანცოდ, სალაღობოდ...
მე მაინც ხანდახან ტუჩის ფერი მეკარგებოდა.
შიში მიპყრობდა იმისა, რომ არ გაწყვეტილიყო ჩვენი ნეტარების ზღაპარი.

* *

უსიკომ მშვენივრად იცოდა პიანინოზე დაკვრა.
გრძნეული იყო მისი მელოდიები.
იგინი ხან ბა შვის სიზმრებივით უნაღვლიანობას გამოჰ-ხატავდნენ.
ხან იერს იცვლიდნენ და დამჭკნარ ყვავილების ხმით ჰქვი-თინებდნენ.
ეს ხდებოდა მაშინ, როცა უკრავდა ჩემს საყვარელ პიესას „გაზაფხული და სამარე"-ს.
მან მაჩუქა ეს პიესა და აღთქმა მომცა:
— როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი მომავალი, თუნდა განშორების სასტიკმა ქარმა გამოგვიქშუტუნოს—იმ მუ-სიკალურ პიესას არავისთან დაუკრავს...
ასეთივე აღთქმა მიიღო ჩემგან...

* *

ბედნიერება ზღაპრული სიზმარია.
წუთიერი ნეტარი ზმანების შემდეგ გველვიძება უსაშინე-ლეს სიცხადის გვირაბში...
ჰქრებიან სირინოზიანი ხმები...
ცრიატდებიან ძოწ-ბალახშოვანი ფერები...
სასოწარკვეთილების ისრებით იფუქებიან ოცნების შევარ-დნები...

* *

უსიკო დავკარგე მაშინ, როდესაც იმპერიალისტურ გერ-მანიის ჯარებით ზურგ-მომაგრებულ დენიკინელებმა მოუ-ლოდნელად შემოგვიტიეს პოდოლიაში... სიმცირის გამო საგრძნობი წინააღმდეგობა ველარ გაუწიეთ და უკან და-ვიხიეთ... როცა დავთვალეთ ჩვენი რიგები - მივხვდით, რომ ბევრი დაგვეღუპოდა... აღარც უსიკო სჩანდა... ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ იმ აფთრების მსხვერპლი გახ-დებოდა...

* *

ძველის ძველი სასაფლაო...
სამარეებით გაჭედილი...
მივიწყებული...
სიქა გადაცლილ საფლავის ქვებზე წამომსხდარი ბრმა მო-ჩვენებანი...
მათი მოთქმა:
დაწყვეტილ ზღაპრებზე...
გაბედითებულ ოქროს სიზმრებზე...
ასეთს გატიალებულს სასაფლაოს ჰგავს ჩემი განუზომელ ბოღმის მტვირთველი გული.
ესეც დათალხულია სამარეებით.
ჩემი მიცვალებულებია:
ახალგაზრდობის განვლილი დღენი, რომელნიც დახოცილ გედებივით განწირვით ასვენიან ზედი-ზედ...

* *

. . . . . . . .

სანამ მქონდა ძალღონე,
სევდას ვკლავდი მე მალე...

მოგონებებმა შორს გადამაქანეს და დამავიწყეს ავ-ბედი მომღერალი...
ასე მგონია მას ძაბრი უჭირავს და მსოფლიოს მოწყენას მიწურწურებს სულში...
ისევა მღერის... ისევ გამომჟღეურებული აქვს თვისი ნაწა-მები გული და ათამაშებს...
თითქოს მაიმუნი ეჭიროს თოკით და დაჰმღეროდეს:

ახ, მაიმუნ, მაიმუნ...
ჩოლახ, ჩოლახ მაიმუნ!..
გელდუსანი მაიმუნ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ატინგიცებს თავის გულს, ოღონდ როგორმე მიიღოს გროშები...
ამაოდ...
არავინ უღებს კარს სათანაგრძნობოდ...
უქმადა აქვს გაწვდილი სიცივისაგან შეშუპული ხელი...
გულ-ქვანი...
იგინი ეხლა თბილს ოთახში არიან ბედნიერებით დათაფლულნი და რა ენაღვლებათ, თუ ამ დროს გარეთ მოსთქვამს თავის სიბეჩავეს ვიღაცა.
იმდენი იმღერა, გული ამოიგდებინა და მაინც არა უწყალობის რა...
არა-მარა—დარდუბალა მათს თავსა...
უბედურის გაგება მხოლოდ უბედურს შეუძლიან...
მესმის მისი სულის კივილი, მაგრამ ვით გავეხმაურო?
თვალს ვავლებ ჩემს ბუდრუგანა ოთახს...
ცარიელი კედლები...
გაწყალებული ლოგინი...
ყველაფერი გამაყიდვინა გაჭირვებამ...
შენარჩუნებული მაქვს მხოლოდ ჩემი საყვარელი პიესა „გაზაფხული და სამარე“.
ესაა ჩემი სიმდიდრე... ჩემი სულის საოხი...
უსიკოს აღთქმა მივეცი არავის ვაჩვენებდი სამღერლად. .
მე ვიღებ ამ პიესას.
გავდივარ გარედ და მიმავალ ქალს ვეძახი:
— დაიავ, დაიავ, იცით თქვენ ნოტების ხმარება?
— როგორ არა!,.
— მაშ აი რას გეტყვით... გროში არ მაბადია... მაქვს მხოლოდ ეს უძვირფასესი პიესა... წაიღეთ... ეგება გამოგადგეთ...
მომღერალი მართმევს. .
ჰსინჯავს...
ამობლეტილი თვალები უბრწყინდება. .
მოსწონს... მემადლიერება და მშორდება...

* *

წაიღო პიესა და დაცარიელდა ჩემი გული...
დღემდე ეს პიესა მაგონებდა ჩემი ბედნიერების კუნძულს... იმედის ძნინ ნათელს მიპარპარებდა...
ახლა იგიც ჩაჰქრა..,
მოიმზვლა უკანასკნელი თაღი სასოებისა...
ქშაა ტიალებო!..
არარაობის ბალყუმი ღამურები უხამსი წრიპინით მოფრატუნობენ მის ნანგრევებში დასაბუდებლად...

* *

განაგრძობს იგი სიარულს ქუჩიდან-ქუჩაში... კარიდან-კარად...
დაჩიჩული ხმით საჯაროდ ააქვითინებს იმ პიესას, რომელიც ასე დაუნჯებული მქონდა...
ყველა ლაყინტარამ უნდა უსმინოს მას...
მე შევდივარ ოთახში და ქვითინით პირქვე ვემხობი საწოლზე...

**დ. თურდოსპირელი**

# სხვანაირი საღამო

ასე სხვანაირი საღამო. ასე დავიწყება ყველა ფიქრების, როცა ლანდები მოდიან მკვლელებად. როცა მეძახიან დები.
ვგრძნობ ქუჩაში ვიღაც მიდის. ვგრძნობ ვიღაც ტირის. ვგრძნობ ვიღაც თავს იკლავს. ვიღაც იცრემლება ჩემ მაგივრად.
მე ვუყურებ ჩემ ბედს რომელიც წვალდება. რომელიც კანკალდება სანთელივით.
მე მინდა ავათოვლო სევდები. მინდა სხვა ეწამოს ჩემ მაგივრად მაგრამ:
ლანდები მოდიან წყებებად. წყებებად.
ფიქრები დგანან სვეტებად.
საღამო ნელდება ავი სურვილებით და ვნანობ მე წინანდელ სინაზეს.
საღამო მიცქერის დაშტერებით. სულში შემოდის გაფითრება და მე ვთვლი წამებს. წამებს დარდებით სავსეს. აქ შემოდის ღამე ქურდივით და მოჰყავს: ფიქრები ლანდებად. ლანდები წყებებად. ლანდ ბად.
შემოდის ღამე და მეშინია შეშლილობის.
მინდა დედა: ალერსი. სიყვარული.
მინდა მამა: ბინა. ლოცვები.
ვუყურებ სულს და:
— სულო მოდიან სურვილები გაგიჟებად. სულო ნუ გინდა სისხლი. სულო სხვანაირი საღამოა დღეს.
კიდევ ასე იცქირება ღამე და მე ვგრძნობ:
ვიღაც დგას ჩემთან. ვიღაც ტირის ჩემთან ჩემსავით.
ასე სდგას ღამე სვეტივით. ასე მიცქერის მე და ოთახი ივსება სულებით.
მე ვუყურებ მათ და არავინ მიცქერის მე.
ფანჯრებთან მიფრინავს ქარი. იგი ჩემსავით შეშლილია. იგი ჩემსავით ვიღაცას დაეძებს.
მე ვეძებ მას ვინც ტირის ჩემთან. მაგრამ:
— სულო ნუ გინდა სურვილები. ისინი კვამლივით ქრებიან.
სხვანაირი საღამოა დღეს.
— სულო ნუ ეძებ ნურავის. არავინ წვალდება შენსავით. ასე სტირის ეს საღამო. ასე ქრებიან სურვილები და მე შეშლილად დამყურებს ვიღაც.
მე მინდა სიფითრე. ოთახს კი სიცილი ასიცილებს.
მთვარეც ჩემსავით იცინის. ცა იფერება ჩემ თვალებით. ლურჯად. ცისფერად.
მე ვუყურებ ჩემ თვალებს და მიხარიან ასეთი გაწვალება.
ო, მე ვწვალდები ჩემ თავივით, რადგან სხვანაირი საღამოა დღეს და მეუბნევა ვიღაც:
— იწამე თვითმკვლელობა!!!
— იწამე თვითმკვლელობა!!!
შევცქერი ჩემ ბედს ასე სისხლიანს. მე ასე მგონია გაივლის წამები. ასე მგონია გათავდება წამებაც და მე ვნახავ ჩემ თვალებს ისევ აფერებულს. ჩემ სახეს ისევ გაღიმებულს. ისევ დამეწევა ფიქრი იმედებზე და სევდები გაივლიან ლანდებად. მაგრამ:
სხვანაირი საღამოა დღეს:
ფიქრები სევდებით დატვირთეს თვალებმა. ლანდები მეძებენ მე და მე ვეძებ მათ.
რამდენჯერ ჩამოთოვს ცრემლებს ეს თვალები.
რამდენჯერ ვიტირებ ასე და:
ფიქრები სევდებმა მომპარეს. მე ვეძებ ისევ მათ. მე ვკანკალებ ისევ სანთელივით და:
ფიქრები სევდებით დატვირთეს თვალებმა. ლანდები მეძებენ. მეძებენ.
მეძებენ... რადგან სხვანაირი საღამოა დღეს.
ცა იფერება ჩემ თვალებით.
ლანდები მეძებენ.
მეძებენ და:
სხვანაირი საღამოა ღღეს.
1925 4 იანვარი.
სხვანაირი ღამე.

**კაჲუს პელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოტელოს უკანასკნელი სიტყვა *)



მსახიობი ალ. იმედაშვილი
ოტელოს როლის ერთი საუკეთესო შემსრულებელთაგანი.

სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო
კეთილშობილნო და **მრისხანე მოსამართლენო!**
მართალი არის, **დეზდემონა მე თვით მოვკალი;**
ისიც სწორია, რომ მოვკალი არა ძულებით,
არა, ნამუსის გულისათვის მოვკალ მე იგი.
სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს
მშვიდობიანის დროს შესაფერს, მოკლებული ვარ,
რადგან მას აქეთ შვიდის წლისა რაც-კი შევიქენ,
დღევანდელ დღემდე, გარდა ამ ცხრის თუ ათის თვისა, —
რაც კი ამ მკლავთა ღონე იგრძნეს, მათთვის სანუკვარ
საქმედ შექმნილა ვარჯიშობა საომარ ველზედ.
არა ვიცი-რა ამ დიდებულ ქვეყნის ბრუნვისა,
რაც-კი ბრძოლას და ვაჟკაცობას არ შეეხება
და ვგონებ ჩემს თავს დამცველად ვერ გამოვადგები;
მაგრამ თუ-კი თქვენ მოთმინებას და ნებას დამრთავთ,
**ჩემი მკვლელობის** ზრდას მოგითხრობთ თავით ბოლომდე
უბრალო ენით და სიტყვების შეუხამებლად.
მოგითხრობთ, რაკი მაბრალებენ, **თუ რა სიმხეცით,**
**ავ-ხორცობით და ქვენა-გრძნობით წაქეზებულმა**
**მოვკალი იგი, ვინც მ მაჩნდა სულზედ უტკბესად.**
**მოსამართლენო, მაშ მისმინეთ!** მე ჩვეულებამ,
ამა მტარვალმა შემაჩვია, რომ ბრძოლის ველი
ქვით და ფოლადითმოკირწყლული მეჩვენოს რბილად
გაფუვებულის ბუმბულისა საგებლის მსგავსად —
**და ეს იცოდეთ, ბატონებო,** რომ ჩემს ცხოვრებას,
ცის ფრინველივით თავისუფალს, არ შევხუთავდი,
ხელმწიფობაც რომ მოენიჭათ ოკეანეზედ,
თუ დეზდემონას ტრფობა მკერდ ქვეშ არ ჩამსახვოდა.
**თქვენ არ იფიქროთ, რომ მოვყვები თავის მართლებას,**
**არა, მერწმუნეთ, მე მინდა რომ** ჩემმა ღირსებამ,
ხარისხმა ჩემმა, სინიდისმა შეუბღალავმა
რა სახეცა მძევს, იმ სახითვე გამომაჩინონ.
**თქვენ, თეთრ-კანიანთ განა გესმით მავრთა გულის** თქმა?
**თქვენ ყოველივეს ბრძნულის თვალით უახლოვდებით,**
**არა გესმით რა არცა გრძნობის, არც სიყვარულის!**
**მე-კი სულ სხვა ვარ!**
ვიცოდი მხოლოდ სიყვარული მე ჭეშმარიტი,
თუმც არა ბრძნული; ვერა მძლევდა ეჭვი ადვილად,
მაგრამ რაკი გულს ამივსებდნენ ეჭვიანობით,
მე მივაღწევდი უკიდურესს მრისხანებამდე.
**ის ხელსახოცი,** ის ნიშანი სიყვარულისა,
რაიც პირველად ვაჩუქე მე ჩემს **დეზდემონას,**
**რაღა თქმა უნდა, თქვენთვის მეტად უმნიშვნელოა.**
**რადგან გულ-გრილად შეგიძლიანთ ყველა ითმინოთ**
**და ზურგით ზიდოთ ყოველგვარი შეურაცყოფა.**
**თქვენ ისიც ძალ-გიძთ თქვენთა ცოლთა უნამუსობა,**
**მათ ავ-ხორცობა, გარყვნილება,** მ ლის სიმსუნაგე,
თხისა ხურუში, ალტყინება მაიმუნისა,
**თქვენის სახელით დაიფარონ, არად ჩააგდონ.**
რამდენ მილიონს,
შეურაცხყოფილ სარეცელში ღამე მწოლარეთ,
გგონიათ იგი მარტო თქვენთვის განმზადებული,
**ზოგთ ისიც ძალგიძთ ბედნიერად გრძნობდეთ თქვენს თავსა**
როს ჰკოცხით გარყვნილს დედაკაცსა თქვენს ქვეშსაგებში
და უნამუსო მიიჩნიოთ ნამუსიანად.
**მე ეს არ ძალმიძს!**
არ შემიძლიან ეს სიცოცხლე ეჭვიანობას
ავაყოლო და მთვარის ყოველ განახლებასთან
ახალ-ახალი ეჭვზედ ეჭვი გულში შეუშვა!
არა, ჩემს ეჭვსა საქმეც თან სდევს გადაწყვეტილი!
**თქვენ, ამა ქვეყნის მბრძანებელნო, თეთრ-კანიანნო,**
**იაგოს ენით მოუბარნო, მისებრ გაქნილნო,**
**დამმონებელნო ყველა ერის და მტარვალებო,**
**აბა მითხარით იაგოსგან რით განირჩევით!!**
**გადასწოლიხართ მთელს ქვეყანას.** ჰგონებავთ დათვიკოთ
**და ვით იაგოს თავი მოგაქვთ მეტად უმანკოდ.**
დიაღ, უმანკოდ,
როგორც ზაფხულის ბუზნი სადმე საყასბოებში,
რანიც მურტალის თესლ დადებით იქ მრავლდებიან.
**აბა მითხარით,** ბაიყუშნო, ეშმაკის წილნო,
რისთვის გამაბით თქვენსა ქსელში სულით და ხორცით?
**რისთვის დამღუპეთ უბედური, რომელიც ისე**
მამხდობი ვარ, გულმართალი, რომ პატიოსანს
ვუწოდებ ვინც-კი პატიოსნის სახეს იკეთებს.
**თქვენ შეგიძლიანთ თქვენსა გრძნობას ფეხით სთელავდეთ.**
**ყველა გამვლელთან სარეცელსა ინაწილებდეთ,**
**მე-კი სულ სხვა ვარ!**
მე მირჩევნიან, ჯოჯო ვიყო და დავფოფხავდე
ბნელის ჯურღმულის სიმყრალეში, ვიდრე მცირედი
წილი ჩავუდო ჩემ საყვარელ საგანში ვისმე!
**რისთვის შეგშურდათ ერთი კაცის ბედნიერება,**

---

*) ოტელოს გასამართლების დღეს თებერვლის 9 1925 წ. სახელმწიფო საოპერო თეატრში წარმოთქმული. სიტყვა ამოღებულ-..თებულია ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ პიესიდან. ხაზ-გასმული ..ლები ჩამატებულია თვით ბრალდებულის ამსრულებელის ალ. ..დაშვილის მიერ.

რედ.

**რად ჩამაწვეთეთ შხამ-ნაღველი!** თუნდა მთელ ბანაკს,
ყოველ ჯარის-კაცს თუნდ ცალ-ცალკე ეგემნა იგი,
იმის ტკბილ სხეულს შეჰხებოდა, მე ბედნიერად
ჩავთვლიდი ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა რა,
ოჰ, ნეტა ზეცას მოევლინა ჩემდა საცდელად
და ჩემ შიშველ თავს წვიმასავით ზედ დასდენოდა
სხვა-და-სხვა გვარი მწუხარება, შერცხვენა მწარე;
თუნდა ყელამდე ჩავფლულიყავ სიღარიბეში
და შევებოჭვნეთ ჯაჭვით მეც და ჩემნი იმედნიც,—
მაინც-კი სადმე ჩემის სულის სიღრმეში ერთ წვეთს
მოთმინებისას ვიპოვნიდი. **მაგრამ თქვენ ენამ
შეჩვენებულმა, გესლიანმა, შურით აღსავსემ,
იქა ტკბილ** ადგილს, სად ეს გული დამყარებულა,
რომლითაც ვცოცხლობ და ურომლოდ სიკვდილი მელის,
**თქვენ იმა ადგილს** განმაშორეთ და გარდაჰქმენით
ჭაობად, რაშიც ჰეპლაობენ და კვერცხებს სდებენ
მყრალნი ჯოჯონი! **ბიწიერნო თქვენ რომ გიყურებთ**—
სისხლი მემღვრევა, თავ-დაჭერას ველარ ვახერხებ,
აშლილი ვნება ჭკვა-გონებას სრულად მიბნელებს
და წინამძღვრობას მიპირებს მე!
**თქვენ მასამართლებთ, თქვენა ლაყბობთ ჩემს ჭირ-ვარამზე,
ვის ბოროტ ენის შემწეობით,** აი ამ ხელთა
შეუჩერეს მას მისი სუნთქვა, **შეუჩერეს მას,**
ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის ვინც მე შემიყვარა
და ვინც მიყვარდა ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის.
ეს საქციელი საზარელს ჰგავს, მხეცთა შესაფერს,
კარგად მესმის მე!
**დავსაჯე იგი, ვინც მიყვარდა სულზედ უმეტეს.**
ჩემი ვაება ზეცისას ჰგავს!
დასრულდა ჩემი ცხოვრების გზა, საზღვრამდე მიველ
და ზღვის კიდესთან იალქანი უკვე დავუშვი.
**ავის თესლით ჩასახულნო! ეს შეიგენით—
სასჯელი ჩემთვის სიცოცხლეა, კვლავ თქვენთან ყოფნა,
მზერა მაგ თქვენი ულმობელი სახის კუნთების,
ამიტომ უნდა გაგეცალოთ, ჩემს სულს ვეწიო,
მაგრამ იცოდეთ—დანაშაულს მე არასა ვგრძნობ,
მხოლოდ ვარ თქვენის ენით მკვდარი და უბედური.
უბედურებას ესეთს უნდა სიკვდილი მოჰყვეს.—**
კაცი რომ კვდება, როგორც ვატყობ, ბედნიერდება.
**ჩემი სიკვდილი ნიშანია თავისუფლების!
ჩემი მოძმენი შეიგნებენ თქვენს ვერაგობას,
ველარ დაჰფარავთ შავ გულს თქვენის თეთრი სახითა
და აღსდგებიან მაგიერის გადასახდელად!**
როგორც პონტის ზღვის ცივნი ზვირთნი გატაცებულნი
მისდევენ ერთ გზას პროპონტიდს და ჰელესპონტისკენ
და არ იმჩნევენ თავის დღეში კლება-მცირებას,
ისე მედგარნი, მოსისხლენი ზრახვანი **მათნი**
უკან არ წავლენ, **თქვენს ძალას** არ შეუდრკებიან
და შთანთქავს იმათ შურის-გება ყოვლად ძლიერი.

ალ. იმედაშვილი.

# ქართული კინო



კ. ხომერიკი
საქ. სოც.-უზრუნველყოფის სახალხო კომისარი.
(„ქარიშხალის წინ“-ის გადაღების გამო).

„ქარიშხალის წინ“, დადგმა კ. მარჯანიშვილის, სცენარი შალვა დადიანის, გამოცემა საქ. სოც-უზრუნყოფ. სახალხო კომისარიატის კინო „აის“-ში იანვრ 27.

**წინასწარ განზრახულება.** სურათის გამოშვებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჯერ „ქუხილი“ ასტყდა... მითქმა-მოთქმისა, შემდეგ საშინელი „ქარიშხალი“... ადამიანთა ვნებათაღელვისა. ასისინდენ ენანი, ამეტყველდენ გორკის ეშმაკისაგან გაშოლტილი ვნებანი მოკვდავთა და... სურათის ჩვენებამდე საზოგადოებრივი აზრი მის წინაალმდეგ უკმაყოფილების ასაფეთქებლად იყო გამზადებული. როგორც იქნა, სურათი ვნახეთ იანვრის 27-ს.

**როგორია სანახაობა?** მკაფიო, გარკვეული (ორიოდე გამონაკლისს გარდა), სწორი წარწერები, ცხოველი შინაარსიანი სურათები და მუსიკის ნაზი ჰანგები (ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა ორკესტრისა), ყოველ სურათის შესაფერი.

**რა არის „ქარიშხალის წინ?“** მე-XIX საუკუნის მე-60-ე წლებიდან მოყოლებული ჩვენი ხალხის ვითარება, მრწამსი, მისწრაფება, სულისკვეთება, თანდათანი ზრდა. შინაარსი: ბატონყმობის გადავარდნის გამოცხადება, საერთო სიხარული, რომელსაც შავ ძაძას გადააფარებს ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხკაცობის ხელახალი ქონებრივი დამონება. აქ ეპიზოდზე ეპიზოდი უკეთესი ზედიზედ მოსდევს: ერთ მხარეს თავგასული ბატონის პარპაში, მეორეს—გლეხთა დადუმჭარება. მშრომელი გლეხი ბატონისგან განთავისუფლდა, მაგრამ ახალი სახის უღელი დაედგა: მისი სარჩენი მიწა, ტყე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი, წყალში თევზი, ყანა, ქალიც-კი ე. ი. სულის გარედ ყოველივე ბატონის სასარგებლოდ გადაიქცა, გლეხი-კი მეწველ ფურად. აქედან—სოფლის ნელნელა დენა ქალაქისკენ, ქარხნებისა და თავისუფალ ხელობისკენ. ქარხნის მუშათა შრომის მძიმე პირობები, ახალი ტიპის—კინტოების გაჩენა. მაგრამ ეს კინტო დღევანდელი ჩათუქესანი-კი არ არის, არამედ თავისებური რაინდი, კეთილშობილი, მთელი თავისი ცხოვრებით მეამბოხე, უსამართლობის შეურიგებელი სულით გაჟღენთილი, როგორც ნამდვილად იყო 70—80-იან წლებში, ძმა-ბიჭი, მოძმისათვის თავდადებული.

აქვე ფერად აბრეშუმის ძაფივით ჩაქსოვილია სემინარია თავისი ნათელი და ბნელი სახეებით: მოწაფეთა მეამბოხე სული, რომელმაც ძველი წესწყობილების წინააღმდეგ გათვითცნობიერების თესლი უხვად მიმოაბნია ხალხში. შავი სამღვდელოება ცრუმორწმუნოებით, კაციჭამიობითა და ჯაშუშობით განმტკიცებული. დაბეჩავებული გლეხკაცობა შეუბრალებელი მებატონით, ჩარჩული წოდება და მთელი მათი ზედნართი—მართებლობა—პოლიცია პატარიდან დიდამდე... არალეგალური პრესის, ჩასახვა რევოლიუციონური სულის გაღვიძება, როგორც სოფლად ისე ქალაქად და ბრძოლა ძველის წესწყობილების წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლადაც ხდებიან პირველნი მერცხალნი, ვაჟნი, და ქალნი, და შორს ციმბირში იღუპებიან.

ყველაფერი ეს მოგვირისტებულია ქალაქის და სოფლის ყოფა-ცხოვრების ასახვით. ის, რაც უკვე გამქრალი, დაღუპული გვეგონა (ჩაცმა-დახურვა, ზნეჩვეულება, ურთიერთობა, სახიერება, ყეენობა,—თუმც სუსტად,—და სხ.) ეთნოგრაფიული სინამდვილითაა მოცემული.

**მთლიანია თუ არა?** ერთი შეხედვით, თითქოს სურათებს ურთიერთთან კავშირი არა აქვს. ასე ეჩვენება ზერელე მაყურებელს,—მაგრამ ყოველივე ერთი-მეორისაგან გამომდალია, ერთი-მეორის ქარგაა. შესაძლოა ამ გრძელი ამბიდან (სცენარიდან) რამდენიმე სურათი გამოჰყოთ: ბატონყმობის გადავარდნა მთელი თავისი შედეგებით, კინტოების ყოფა-ცხოვრება, სემინარია თავისი პირმშო შვილებით, პირველ ქართველ რევოლიუციონერთა ბრძოლა. მაგრამ ყოველივე ეს იქნება ნაწილები, ერთი ყვავილთაგანი თაიგულისა. მთლიანად სურათი ნუსხაა იმ უჩინარი, მაგრამ დიდი ამბებისა,—საზოგადოებრივ ურთიერთ უკმაყოფილებისა, რომელიც წინ უსწრებდა პირველ **მეხს**—1905 წ. და შემდეგ **ქარიშხალს** რუსეთის დიდ რევოლიუციას 1917 წ.

მოკლედ: ამ ქარგაზე აღნასკულია მთელი ხალხის სულისკვეთება. ეს არის ერის მაცოცხლებელ ძარღვის მძლავრი ფეთქვა... განკერძოებულ პიროვნებათ, თითოეულ გმირს ნუ ეძებთ... აქ **გმირი** ხალხის მთლიანი ნებისყოფაა, სულისკვეთება, ხოლო თითოეული პიროვნება ამ სულისკვეთების გამომხატველი.

**ვინ შექმნა?** ჩვენი დიდი ხელოვანი კ. მარჯანიშვილი რამდენადაც თეატრში კინო-რეჟისორად გვეჩვენება (ვგულისხმობ ტრიუკიზმს), იმდენად კინოში **სათეატრო** რეჟისორი აღმოჩნდა (ვგულისხმობ ყოფა-ცხოვრების ამსახველს). შალვა დადიანს მთელი ჩვენი განვლილი ცხოვრება 60-იან წლებიდან მოყოლებული მოხერხებით აქვს დალაგებულ-ასახული, ას. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ"-იც ოსტატურად გამოყენებული.

**აღმსრულებელნი.** აღსრულების მხრივ ზოგიერთი სალიანგო სცენა თითქო დაზუნზლულია, აჭიჭყნილი, ზოგის სახისმეტყველება ბუნდოვანია. აღმსრულებელთაგან ნაკისრი როლებს სრული სინამდვილით ასახიერებენ: ნ. გოცირიძე (ავეტიქას), ლ. კავსაძე (გიჟუას, —მეტად მეტყველია), ივლ. ჯორჯაძე (მაროს), შალვა ქართველიშვილი (სერაფიონს), ალ. იმედაშვილი (პეტუას), არნაზი (სკულპტორს), ქეთო ანდრონიკაშვილი (კატინეს), აღშიბაია (თავად გიგოს), ვანო მინდიაშვილი (მაზუთიანს), სოსო ჟივიძე (საქულას), საერთოდ კინტოები ცხოვლადაა გადმოცემული, აგრეთვე სოფლის ჯგუფები, განსაკუთრებით პოლიციელები და ბერები სტოვებენ მკვეთრ შთაბეჭდილებას. ტიპიურია ჯაშუში და მზვერავი ბერიც...

სოც.-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ამით უდიდესი საქმე გააკეთა: ჩაუყარა საფუძველი კინოს გახალხოსნება-გაეროვნულებას. საჭიროა ეს სურათი ყოველ დაბა-სოფელში ჩამოატარონ, ყოველ კუთხეს უჩვენონ. არც-ერთი წიგნი, არც ერთი წარმოდგენა ასე ცხოვლად ვერ გადასცემს ხალხს ჩვენს განვლილს ვითარებას და ხალხის უკეთეს მომავლისთვის მებრძოლთა თავგადასავალს, **ნაკლი** აქვს, მაგ. სემენარიელთა აქტივობა, რევოლიუციონურ ინტელიგენტთა მოღვაწეობა, არალეგალური მუშაობა და სხ. კიდევ უფრო მკაფიოდ შეიძლებოდა ასახულიყო, მაგრამ რაც არის—ესეც ნათლად გვიჩვენებს განვლილ ყოფაცხოვრებას.

**რა ბედი ელის?** იქნება ამერიკულ სურათებზე გაგეშილებმა ანუ შინაურთა წუნიებმა ამ სურათზე ცხვირი აიწიონ. ეს საბუთი არ იქნება. რაც უნდა მოხდეს, ეს სურათი დარჩება როგორც ქართული ეროვნული კინოხელოვნების შემოქმედების პირველი ნიმუში, მიუხედავად იმ ნაკლისა, რომელიც, როგორც პირველ ნაბიჯს და არასასურველ ტეხნიკურ პირობებში შექმნილს, თან ახლავს. ომავალი ამ სურათის შემქმნელთ მადლობას ეტყვის. ჩვენ გვწამს, რომ ამიერიდან ჩვენი კინო-ხელოვნება კიდევ უფრო განზე გაშლის ფრთებს და მსოფლიოს ახალ სახით მოევლინება.

**იოსებ იმედაშვილი**

29/I—25 წ.

# თამაშის კულტურა

III.*)

ხშირად ვფიქრობ—რად ხდება ეს, ვინ მისცათ ამ ახალგაზრდებს ასეთი ძალა, საიდან იციან ყველაფერი, საიდან იჩენენ ამდენ პრაქტიკულ ცოდნას?. და დღემდე მარტო ერთი პასუხი ვიპოვე. არა მგონია, რომ იგი შემცდარი იყოს. აქ არის უმთავრესად **თამაშის კულტურა,** რაც ჩვენ გვაკლია. ეს თამაში დასვენება კი არაა მოლილისა, არამედ ნამდვილი პრაქტიკული წაფვა. უსაზღვრო შრომით დაღლილ გერმანელს მაინც ყოფნის დრო და ძალა, რომ ბავშის თამაშზე იზრუნოს. ეს თამაში თითქოს განსაზღვრულის, **რაციონალურის** სისტემით მიმდინარეობს აქ. აღზრდის უდიდესი მხარე უჭირავს აქ თამაშს და იგი ამზადებს ძალდაუტანებლად, ხალისით ნამდვილ პრაქტიკულ ადამიანს, წვრთნის მის გონებას,

*) (იხ. „თ. და ც." № 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამჭრიახობას. არ ღალავს ლოღიკით და ფორმულებით, მაგრამ ჰარმონიულად ეზრდება მის სხეულ , სულს... ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით თუ, ამდენი ფული, დრო, ენერგია შეიძლებოდა თამაშისათვის შეეწირათ. მდიდარ არისტოკრატ დან დაწყებული და პროლეტარიატით გათავებული ერთსა და იმავეს მისდევს აღზრდაში: ბავშს მეტი სათამაშოები და სათამაშო დრო. მთელი ოთახები გატენილია ამ სათამაშოებით, რომელნიც ყოველ დარგში ამახვილებენ და ანვითარებენ ბავშის ბუნება.. მარტო ასეთი მოთხოვნილებით შეიძლება გამართლდეს ის დიდი ინდუსტრია, რომელიც ამ სათამაშოებით იკვებება: ქ. ნიურენბერგი, რუდოლფშტატი და მთელი ტიურინგია მოცულია ამ სათამაშოების წარმოებით. საუკეთესო სპეციალისტები: ტეხნიკის, მექანიკის, არქიტექტურის, ავეჯეულობის და მორთულობის სტოლის, ტანისამოსების, თეთრეულების ხელმძღვანელობენ ამ წარმოების სხვა და სხვა დარგებს... არსებობენ სპეციალური სკოლები, ინსტიტუტები, საცა სათამაშოების საქმეს ასწავლიან.

ცალკე სპეციალისტები სწავლობენ ბავშის სხვა და სხვა ჰასაკის გემოს, მიდრეკილებას, ალღოს.. საბავშო წიგნებზე და გამოცემებზე ხომ ზედმეტია თქმა—მათი რიცხვი ათი ათასობითაა...

მთელი წლის განმავლობაში სავსეა სათამაშოების ატელიები. იმართება ბავშთათვის ყველა დიდ სავაჭრო სახლებში ახალ სათამაშოების გამოფენა და ეს ვეებერთელა დარბაზები მუდამ სავსე არიან ბავშების განცვიფრებით და სიცილით—დაკვირვებითაც... რამდენჯერ მივჩერებივარ ბავშების ჯგუფს სათათამაშო სახლების. ხიდეების, მატარებლის, სადგურების, ტელეგრაფების, რადიოების წინ. მათ დიდრონ თვალებს აწერია უაღრესი გაკვირვება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამ გაკვირვებას დაკვირვება სცვლის და ბავში აჩერდება, თავისებურად „იკვლევს“ თვითეულ ნაწილს, ხაზს, ბორბალს; ყველაფერს ცნობის მოყვარეობით კითხულობს და ღრმად იბეჭდავს თვის ნაზ გონებაში... *) საუკეთესო სკოლაა ეს გამოფენები. და მერე საკუთარ სახლში ბავში მთელის საათობით ზის და პატარა თითებით, შუბლ შეჭმუხვნილი არღვევს და აშენებს მოდელებს. ეს უეჭველია ის გერმანელია, რომელიც მერმედ ჩვენ მოგვევლინება გეოლოგის, ელექტრო-ტეხნიკის, ან ქიმიკოსის სახით და ჩვენს უვიცობას ზევიდან დასცქერის.

რას ვიზამთ—აქვს ამის უფლება...

ახლა პაწია გოვონები: მთელი გროვა სხვა და სხვა სახის საქარგავებისა, საქსოვისა, საკერავის (სანიმუშო), პაწია სამზარეულო მთელი მისი მოწყობილებით, ჭურჭლეულობა, ოთახების მორთულება სხვა და სხვა სტილისა, ტიკინები დიდი და პატარა, მოხუცებული, მზარეული ერთის სიტყვით ოჯახის ყველა წევრები... მრავალის ტანისამოსით. პატარა ბავშის (ტიკინას) სატარებელი აკვანი, სადაც უწევს თითქმის ყველა გერმანელ გოგონას თავის ტიკინა და სერიოზულის სახით დაასეირნებს ქუჩაში, მაშინ, როდესაც ისიც სეირნობს... თითოეულმა გოგონამ იცის როგორ და როდის რა გააკეთოს—როგორ მოუაროს, აჭამოს, დაბანოს, ჩააცვას და ასეირნოს თავის ტიკინა. მორთოს ბინა, გააკეთოს სადილი, ყავა და სხვა. მისი გონება კუსკუსით მუშაობს და დროს ფრიად ეკონომიურად ხმარობს, რომ ყველაფერი მოასწროს, და ამ „მუშაობაში“ მას ხელის შემშლელი არავინა ჰყავს. უფროსები თანაგრძნობით ეკიდებიან და საჭიროე ის დროს ასწავლიან და ამ „ნასწავლს“ ბეჯითად და ხალისიანად იმახსოვრებს პატარა.

ასე მაღლა სდგას აქ თამაშის კულტურა—ყველამ იცის, რომ ეს საუკეთესო მასწავლებელი და მომმზადებელია ცხოვრებისათვის; რომ ეს მთავარი სკოლაა და სათამაშო იგივ სასწავლო ნივთია.

## IV.

მაგრამ უფრო რელიეფურად მოსჩანს „თამაშის“ ზეიმი დეკემბრის თვეში. ეს ხანა განსაკუთრებით ბავშების ხანაა. დეკემბერი ბავშების თვეა... შემოდგომიდან უგროვებენ მშრომლები მათ ფულს, რომ საშობაოთ რაც შეიძლება მეტი სათამაშოები მოუტანოს პატარებს თეთრწვერა „ვაინახტმანმა“ (შობის კაცია), საგანგებოდ ამზადებენ შობის ხის მოსართავებს... ქუჩებში დიდი ზეიმია, შობის ხეებით სავსეა ყველა ქუჩის კუთხე და მოედნები. ყველა ვიტრინები სავსეა ახალ-ახალ გასაოცარის ხელოვნებით და კომბინაციებით შეზავებულ სათამაშოებით. **) და მთელი სამი კვირა მთავარ თეატრებში მიდიან დღიური, საბავშო წარმოდგენები; ბავშების ჟივილ-ხივილი გაისმის თეატრის კარებთან და შიგნით. მშვენიერის ხელოვნებით იდგმება ნაცნობი ზღაპრები—მდიდარი დეკორაციები, წარმტაცი კოსტუმები, ხალისიანი ცოცხალი ტრიუკები, ლამაზი ბალეტი... ყველაფერი და ყველა ბავშებისათვის ზრუნვით, მათი ცხოვრების გასალამაზებლათ არის.

საბავშო კონცერტები, სხვადასხვა ხანის სპორტის საღამოები, შობის დღესასწაულისთვის შეფარდებული კინოები და სხვა ათასი გასართობებით არის მოცული გერმანიის ყოველი ქალაქის და სოფლის შიდამოები.. და მოწყენილი, დაღვრემილი გერმანელის სახეც იცვლება, ისიც ბავშებთან ერთად ციმციმებს, ლაღობს და მოუთმელად ელის თეთრ ბაბუას“—თითქოს მასაც სჯერა ამ ხალისიან ლეგენდის..

და ბავშების ოვე მოხუცებსაც აყმაწვილებს, მის გულშიაც ყვავილებს შლის, სიცოცხლეს უფერადებს.

ასეთ დიდ პატივშია კულტურულ ქვეყნებში ჩვენს მიერ აბუჩად აგდებული, სიზარმაცის ატრიბუტათ ნაცნობი, ნაცემი და გარე გამოგდებული „თამაში“; ასეთ დიდ პრაქტიკულ სკოლის როლს ასრულებს იგი უცხოეთში; ასეთი იშვიათი მასწავლებელია ცხოვრების გამოყენების და გაგების, რაზედაც ჩვენ ბევრს გველაპარაკებოდნენ—გრძლად, მშრალად და მოსაწყენად და რაც ასე გვძულდა და უკებ დავივიწყეთ კიდეც.

ჭეშმარიტად „თამაშის კულტურას“ მაღალი კულტურა სჭირია; და თუ მის ნაყოფს გავეცნობით, იქნებ მეტი პატივი დავდოთ ამ განდევნილ და მეტი მზე მავსცეთ ჩვენს განაწამებ ბავშებს. **თამარ გოგი ლაშვილი.**

ნიურენბერგი (გერმანია).

---

*) ამ სათამაშო მოდელებშია მთელი გერმანიის ინდუსტრიის წარმოება. აქ უკვე არის ცნობილი „ცეპელინი“ მთელი მისი მეხანიზმით, გერმანიის უ იდესი გვირაბები ჰამბურგის შესანიშნავი ნავთსადგურ , გემების ასაშენებელი ვერფები, ვესტფ ლიის ქვანახშირის მაღაროები-ქარხნები; მერე ისე მშვენივრადაა ყველაფე ი გაკეთებული, რომ არც ერთი დეტალი არ იკარგება, გრამ ამავე დროს რთული მექანიზმი ბავშს მძიმედ არ აწვება იმ სიმსუბუქით, რომელიც მარტო სათამაშოს ბუნებაშია. იჭრება იგი ბავშის არსებაში და პაწიას ადვილად შეუძლიან თვისი ცნობის მოყვარეობა დაიკმაყოფილოს: დაშალოს მთელი ეს „მანქანა“ და ხელ ახლა ააგოს. ამ პროცესში იგი დეტალების მნიშვნელობას პრაქტიკულად ხე ავს და ღრმად ითვისებს. ამნაირათვე გადმოცემულია მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება სხვადასხვა ტიპიურ ფერმების სახით.

**) ამ სავაჭრო გამოფენებს უკან არ რჩება კოოპერატიული უძლიერესი სა ოგადოებანი. მაგ. ჰამბურგში მუშათა პროფესიონალურ კავშირების კოოპ რატივე მა მოაწყვეს საშობაო გ მოფენა და ეს გამოფენა უმაღლესის ნ ქით დადგმული ცოცხალი სურათები იყო ცნობილი ზღაპრებიდან და საშობაო მოთხრობებიდან. მომ მედნი პირნი, ფონი. ტანთს ცმელი, აქსესუა ები, ბუტა ორია შე გენილია კოოპერატივის სხვადასხვა დარგის ნაწარმოების საგნებიდან: ძეხვებიდან, შაშხებიდან პურებიდან, კონსერვებიდან, ყველებიდან, აკუთარივე ფ რჩეულები ან და ავეჯეულებიდან და სხვადა ხ ა. უფროსები კოოპერატივის წა მოებას ეცნობოდენ ბავშები კი ზღაპარლეგენდებს იგონებდენ ა სურათების ღრმა შთაბეჭდილებით, დაუსრულებელის ხალისით ბრუნდებოდენ...

## წითელი თეატრი



„ჯანყი გურიაში“ ჭ. გელეიშვილისა.
პეტრია—შაფათავა. დადგმა—ა. წუწუნავასი.

# სპარსული მწერლობა

**ჯელალედდინ რუმიელი (1207—1273)**

I

ჭკუა ის არის—მოქმედებდე ალთქმის თანახმად.
სარწმუნოება—რომ იცხოვრო თავის ნებაზე.
მეცნიერება—რომ არ გახდე სხვის იარაღად.
თავმოყვარება—უნებურ ხუნდსაც ნუ შემსხნი ფეხზე.

II

იდინე მუდამ შეუწყვეტლივ როგორც მდინარე;
გამოიცვალე მეზობლები, ბინა სხვა და სხვა.
წავიდა—გუშინ, გუშინდელი თან საუბარიც,—
დღეს უნდა ითქვას უსათუოდ ახალი სიტყვა.

III

დასაბამიდან სიყვარული იყო და არის,
და სიყვარული სიყვარულად მარად დარჩება.
ვინც მოინდომებს სიყვარულის შეურაცხყოფას,
ის ვერასოდეს დაუსჯელი ვერ გადარჩება.

IV

ქალი აშიყი—მზის სახეა მიუწვდომელი,
ვაჟი—სხივებში მოთამაშე ატომს წაავგავს.
როცა დაჰბერავს სიყვარულის ნიავი ნელი,
მის სათუთ ყლორტებს წმინდა ვნების ცვარი მოქარავსც.

V

სიყვარული საამოა თავის ტაჯვა-მწუხარებით.
ამგვარ ტანჯვას ვინც გაურბის, ის ვერავის შეიყვარებს.
ვაჟკაცია ვინც ყველაფერს დაივიწყებს თავის ნებით,
სიყვარულით განწირული თუ სიკვდილით გაიხარებს.

VI

როდესაც ცეცხლი სიყვარულისა
ძალ-ღონეს ჩემსას აღემატება,
როდესაც შენი წმინდა სახელი
თუნდ ერთის წუთით დამავიწყდება,
მე ვიღებ ჭიქას—რაშიც უკვალოდ
ადამიანის ჰქრება ფიქრები,
შენ ჭიქაში ხარ—ღვინოსთან ერთად
თავდავიწყებით გსვამ და ვითვრები.

VII

ჰოი, უფალო! სიყვარულის ძალა მიეცი,
მიე იმ გულ-ქვას, იმ დამტანჯველს სულის და გულის,
მიეცი იმას სიყვარული, მიე ასკეცი,
რომ უფრო იგრძნოს სიბოროტე შეყვარებულის.

**ამბაკო ჭელიძე**

## არა, არ მინდა!

ა

არ მსურს ლამაზი ცოლიც, თუ
ჩემს ტანჯვებს ვერ იზიარებს:
მე თვალით მიმზერს, სხვებს გულით
მუდამ ჟამს გვერდს უტრიალებს,
ჩემთან კვნესს, ოხრავს, ცრემლებს ღვრის,
სხვებთან თამაშობს, ტრიალებს,
არა, არ მინდა ასეთი,—
სიცოცხლეს გამიტიალებს.

ბ

არც მინდა იყოს მახინჯი,
უცხვირ-უთვალო-უყურო,
მის სივაგლახეს, მითხარით,
როდემდის უნდა უყურო?!
მე მინდა... მაგრამ უბრალოდ
ნატვრა ჩემს გულში ტრიალებს,
არ ამიხდება და ესეც
სიცოცხლეს გამიტიალებს!..

**ვარდენ ყიფიანი**

## წითელი თეატრი



„ჯანყი გურიაში“—ჭ. გელეიშვილის
აზნაური ივანე—ხინთიბიძე. დადგმა—ა. წუწუნავასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Nineavias

ნ. ა—ლს.

ყვ ლა დავტოვე და შენს გარდა არავინ მინდა,
შენმა თვალებმა უკვდავებით დამასაჩუქრეს:
შენში აინთო სიყვარული და ამობრწყინდა,
და ანდამატმა შენთა თვალთა დამისაკუთრეს.
აქრობენ სანთლებს ზღვის ქაფებში აფროდიტები,
მედ ამ თავი ჩამოიხრჩო გასანთლულ თოკით,
შენი შეხება და თეთრ ყელზე ბროლის თითები;
თამარ მეფესაც მავიწყებენ მზიან სიტკბოთი.
ვიცი მომწამლავს შენზე ფიქრი, შენზე ოცნება,
არ შემიძლია დავივიწყო შენი ოქროს თმა,
შენ ხარ პოეტის სიყვარულის გასხიოსნება,
მე შენს ძებნაში ტრფობის ალზე დამწვარი მოთქმა.
დავძლევ ყველაფერს, მზეს თავს მოვკვეთ, უარვყოფ სიკვდილს
დავამხობ ყველას შენ ფერხთა წინ ალერსის ნამწვზე,
ზღვას გადავკეცავ შენს წამწამზე და ქალწულ სირბილს,
ავიღებ პრიზით შენ შეპუდრულ ვარდისფერ ლაწვზე.
უსაზღვრო არის ჩემი ფიქრი მთების მაღალი
და თუ ვიხილავ შენში ისევ ბოროტ სატანას,
პოეზიას ვგმობ, სამშობლოსაც და ვით საწყალი
გულში დავიკრავ შენ ქვა გულზე ამახულ დანას.
და გამიხსენე მხოლოდ მაშინ გველური გესლით,
ოდეს სჭკნებოდე მოქანცული უცნობი მკლავებში,
ზიზღით მოთხარე მოგონება ტრფობით ნათესი
და დავიწყებათ დამაბრუნე მკვდარ საფლავებში.

ლადო მაჭავარიანი.



მცხოვანი რომანისტი ვასილ ბარნოვი
ამჟამად სწერს ახალ რომანს.
საგანგებოდ „თეატრი და ცხოვრება“-სთვის დახატული
ალ. ციმაკურიძის მიერ.

## წითელი თეატრი



„ჯანყი გურიაში“ —ჟ. გედევანიშვილის
კოზია—გვინჩიძე. დადგმა ა. წუწუნავასი.

## ქალი და ჩვენი თანამედროვე საზოგადოება

ქალი—ტიკინა... ქალი—მანეკენი... ქალი—ნივთი...

მამაკაცის ცხოველურ სიშმაგის დამაკმაყოფილებელი სხეული..

გამოფიტული, გამორეცხილი მანქანა კმაყოფილი თავისი ხვედრით: ის ხომ „სუფრის დამამშვენებელი ხატებაა“, ის ხომ პოეტების შესხმის საგანია, მის წინაშე ხომ ხშირად საუკეთესო ვაჟკაცებია მუხლ-მოდრეკილი, ის ხომ „უხილავი, საბედისწერო ზამბარაკია, რომელზედაც მთელი ცხოვრება ემყარება!“

აი რა იყო ქალი და რით უბამდენ მას თვალებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

სამკაულებსა და ძვირფას სამოსელზე ჰყიდდა ქალი შეუგნებლად თავის ადამიანობას. შეუგნებლად, რადგან მრუდე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ჩაჰკლა მასში უნარი არსებულის გათვალისწინების და შეგნებისა.

მისი სამოქმედო ასპარეზი განისაზღვრებოდა მდიდარი ბუდუარით, რომელიც განაზებულ, გათოში[illegible]რაცად ხდიდა მას, საზოგადოებაც მხოლოდ ამას მო[illegible] და ქალისაგან: ის სწურავდა, ჰფიტავდა ქალს მხ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის სასარგებლოდ, მხოლოდ მამაკაცის დასაკმაყოფილებლად.

ამ საზოგადოებამ გაჰქურდა ქალი: წაართვა მას გრძნობა, წაართვა გონება, წაართვა გული, წაართვა დედობა!

ქალში დედა ან ძიძად გადაიქცა, ან კიდევ უარესი —მასში სრულიად ჩაკვდა დედა, როგორც ასეთი...

ამ საზოგადოებაში უმდიდრესი ქალი —ულარიბესია.

უბედნიერესი — უუბედურესია!

ულამაზესი—უმახინჯესი!

* * *

ყოველივე ამას ვერ ვიტყვით კერძოდ ქართველ ქალზე: ისტორიულად ქართველი ქალი არ არის ტიკინა.

აღმოსავლეთის რასსიული გზნება საქართველოში ქალშიც სცემს:

მრავალი ისტორიული მაგალითები ღაღადებენ ქართველი ქალის ამაზონობაზე....

ქართველი ქალი მუდამ პირნათლად ასრულებდა თავის ისტორიულ დანიშნულებას: ქართველი დედის სახე ძვირფას საუნჯედ დარჩება ჩვენი ერის ისტორიაში....

მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში რუსიციზმის და ევროპეიზმის სუნთქვამ შვა ჩვენშიც ქალი—პრინციპს მოკლებული, ქალი —მანქანა.

* * *

ჩვენი თანამედროვე საზოგადოება—ძველის მსხვრევის და ახალის შექმნის საზოგადოებაა. კვდება დამყაყებული, ფუქსავატი კაცუნების სამეფო, იქმნება ახალი, ცოცხალი სიხალისე!

დრო-მოჭმულ ბურჟუაზიას წინ აღარაფერი ეშლეგოდა, ოქროთი აღზრდილ, დაავადმყოფებულ სულში საზარელი აპატია ისადგურებდა, რასაც ის გიჟურ ცხოვრების ორომტრიალით იფარდაგავდა, ეს უკანასკნელი გახელება იყო....

მის ნანგრევებზე აღმოცენდა დღეს ახალი ცხოვრება.

საღმა ძალამ, საღი მაჯისცემის რევოლუციონურის ტემპით შექმნა ძლევამოსილი საზოგადოება შრომის პრინციპზე აგებული.

დღეს მიზანი, არსებობს. მაშ ბრძოლაა საჭირო!

ბრძოლა-კი ცხოვრების ნიშან-წყალია!;.

ახალმა ცხოვრებამ თავისთავად ახალის სიმწვავით წამოაყენა საკითხი ქალის შესახებ. ქალი მონა იყო. ახალი ცხოვრება მონობის მსხვრევის ნიადაგზე აღმოცენდა. ქალიც აღსდგა.... მას დაეტყო აქტივობა, დაეტყო სულით გალამაზება, გამოსაღება:

კაპრიზული კოკოტი საზოგადოების მოაზროვნე წევრად იქცა.

რატომ?

ქალში განვითარებულმა შინაგანმა ხედვამ, ინტუიციამ აიყვანა ის ადამიანის სიმაღლეზე.

დღეს ქალი არ არის ზედმეტი ხორცი საზოგადოების!

მას ადგილი აქვს სახელმწიფო დაწესებულებაში, უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში...

ის შრომობს მამაკაცთან ერთად, ერთის მიზნით აღტყინებული!..

დამოუკიდებლობა ეკონომიურად ხდის ქალს დამო[illegible]ბელს იდეოლოგიურად და მორალურად, თუმცა [illegible]ასკნელი იდეა არ არის სავსებით დაძლეული [illegible]კაში....

აქაც ბრძოლაა საჭირო! მიზანი დიდია...

მუშამ დაკოჟიჟებული ხელებით მძლავრი ქმედებით გამოსჭედა თავისი ბედი... ქალიც მუშა იყო, მუშა ოჯახის, საზოგადოების, მამაკაცის მუშა—გამოუცნობი, დაუკმაყოფილებელი, უყურადღებო...

პროლეტარულმა რევოლუციამ ძლევის გვირგვინით შეამკო მუშა. იმავე რევოლუციამ გააკაჟა, გაათამამა ბრძოლაში ქალი—ეს უნამდვილესი პროლეტარი ეკონომიურად, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, მორალურად!

დღეს ქალი მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად იბრძვის თავის უფლებებისთვის...

* * *

რატომ არის, რომ ბევრია დაწერილი ქალის ფსიქოლოგიის შესახებ, მაგრამ არც ერთი ნაწერი არ არის სწორი?

მიტომ რომ ქალს არ იცნობენ!

არ იცნობენ ქალს!!..

ქალს სახავენ ისეთს როგორიც უნდათ რომ იყოს ქალი. სახავენ ისეთს, როგორიც გახადა ქალი მრუდე საზოგადოებამ: უსახოს, უმიზნოს, უშინაარსოს...

ამ უკანასკნელ საუკუნეში დიდი გარდატეხა მოხდა ქალის ცხოვრებაში და მის—ფსიქიკაშიც.

გზა უნდა მიეცეს ქალს!

ის ბევრს ახალს იტყვის...

საზოგადოებას ქალი ზრდის და რომ საზოგადოება საღი იყოს, საჭიროა თვით ქალი იყოს საღად აღზრდილი, მომზადებული!...

ქალში არ უნდა მოკვდეს დედა; მხოლოდ დედა აღმზრდელი და არა დედა-ძიძა!

საჭიროა მომზადება! საჭიროა მუშაობა!... არ კმარა საშუალო საუკუნეების ამაზონობა, არ კმარა მამულისათვის თავგანწირული დედობა. სხვაგვარ თავგანწირულებასაც თხოულობს დღეს ჩვენგან ცხოვრება!

ოთხ კედელს უნდა გასცილდეს ქალი! სამზარეულოდან ტრიბუნაზე უნდა ავიდეს! ცხოვრების ყოველი კუნჭული უნდა გამოზომოს საკუთარის თვალთა ხედვით, რომ ღირსეულად ატაროს მამაკაცის მეუღლის, ამხანაგის სახელი. „მეუღლე“—ეს უბრალო ბგერა არ უნდა იყოს!!..

მხოლოდ საწოლი ოთახით არ უნდა ისაზღვრებოდეს ინტერესთა ერთობა ქალისა მამაკაცთან! ლამაზი ცხოველის ნიღაბი უნდა ჩამოსხნას ჩვენმა საზოგადოებამ ქალს! ამ ნიღაბ ქვეშ ბევრი მოუხმარებელი სილამაზეა დამალული...

საჭიროა ძველი რკალების დამსხვრევა, ახალის გზით სვლა!

ამისათვის-კი აუცილებელია ყველა მოცვეთილ ლათაიების დათრგუნვა!

ეს აუცილებელია!!...

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი რაღაც „სულიერ გერმაფროდიტად“ უნდა იქცეს, რომ მხოლოდ უყურადღებობა თავის თავისადმი, გაწეწილი თმა, უშნო ტანთსამოსი და სხვა—გახდის მის ღირსად აქტიურ მუშაობის საზოგადოებრივ ცხოვრების ხვეულებში. არა!!.

ქალობა არ უნდა ჩაკვდეს ქალში! ქალში ორმაგი სახე მუდამ იქნება: ქალობა და ინტელექტუალობა!

ამათ ერთი მეორეს არ უნდა დაუშალონ, ცხოვრება თვით მოსთხოვს ორმაგობას! და ამაში ვერავინ უკიჟინებს ქალს: ადამიანი საერთოდ, თავისი ბუნებით და თვით ცხოვრებაც—ჯანუსია...

ელენე მამაცაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დუშეთის დრამატიულ დასის გამგეობა და სარევიზიო კომისია:



ნ. ავალოვი, ი. ბრეკაძე, ნ. რთველიაშვილი, ლ. ზრუმელაშვილი (თავმჯდ ). ბ. ლითანიშვილი, რ. ძიძიგური, ალ. კოჩიაშვილი, არ· კორინთელი, დ. ამირიძე, ·. ჭურღულია და ლ. ლალიაშვილი.

# ძვირფასი განძი

ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კულტურის აღორძინებისთვის ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას. მან თვის გარშემო შემოიკრიფა ადგილობრივი და უცხოეთში გაფანტული ქართული სამეცნიერო ძალები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საშვილიშვილო საქმეს და წინად უვლება-აყრილ საქართველოში კულტურული რენესანსის ცხოველმყოფელი ლამპარი დაანთეს...

ბუნებრივია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ქვაკუთხედს ქართველ იერის წარსული ცხოვრების შესწავლა და გაშუქება უნდა შეადგენდეს. და, მართლაც, თვისი ხანმოკლე არსებობის განმავლობაში, მიუხედავად სხვადასხვა დაბრკოლებისა, მან უკვე დიდი ნაბიჯი გადასდგა ჩვენი კულტურული წარსულის მეცნიერულ გამოაშკარავების საქმეში. ქართველი ხალხის დღევანდელი ცხოვრების მომავალი მატიანე გვერდს ვერ აუხვევს, უფრო მეტი—დიდი მადლობით და პატივისცემით მოიხსენიებს პროფესორთ ივანე ჯავახიშვილს და კორნელი კეკელიძეს, მათი მახლობელი თანამშრომლებით, რომელთაც საქართველოს ისტორიის და კულტურას შესწავლას დაუვიწყარი ამაგი და მესვეურობა გაუწიეს...

ნათქვამის საილიუსტრაციოდ ამჟამად მსურს ქართველი მკითხველის ყურადღება შევაჩერო პროფ. კ. კეკელიძის შრომაზე—**„ქართული ლიტერატურის ისტორია“**. ვისაც ერის წარსულის გათვალისწინება სურს, ის ვალდებულია დიდი ყურადღებით მოეპყრას მისი ლიტერატურის შესწავლას. ამა თუ იმ ხალხის გონებრივი განვითარების, საერთოდ სულიერი ცხოვრების ნამდვილი სარკე, ეჭვს გარეშეა, მისი მწერლობაა. ქართველ ხალხს თავისი მდიდარი კულტურის დასამტკიცებელ საბუთად, სხვათა შორის, თვისი ღირსშესახიშნავი მწერლობაც ეყოფა. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენ არ მოგვეპოებოდა ძველი მწერლობის მეცნიერულ საფუძველზე აგებული მთლიანი ისტორია. ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ განუცადია და სხვებისაგანაც სმენია, თუ რა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ასეთი შრომის წარმოშობა.

პროფ. კ. კეკელიძემ შესძლო სავსებით ამ მომწიფებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება და თვალ წინ გადაგვიშალა ჩვენი ძველი მწერლობის სრული სურათი: ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ ტომში (ტფილისი, 1923 წ., სახ. უნივერსიტეტის გამოცემა) პროფ. კეკელიძეს განხილული აქვს საეკლესიო მწერლობა და დასაწყისიდანვე არკვევს ისეთ საყურადღებო საკითხებს, როგორიცაა: ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა, მისი დასაწყისი და მისი ისტორიის პერიოდები. ამიერიდან ვინც კი დაინტერესდება ქართული ძველი საეკლესიო მწერლობით, მას ეს ტომი აუცილებლად წინ უნდა ედვას.

მეორე ტომში (ტფილისი, 1924 წ., თომა ჩიქვანაიას გამოცემა) გარკვეულია ქართული საერო ლიტერატურა XI-XVIII ს. იგი შესავლიდანვე გიზიდავთ და აღტაცებაში მოდიხართ, როდესაც ავტორი მტკიცე საბუთებით გარწმუნებთ, რომ ჰუმანიზმმა და რენესანსმა თავისებური გამოხატულება ჩვენში უკვე—XI-XII ს. ჰპოვა, მაშინ როდესაც ისინი დასავლეთ ევროპაში მხოლოდ XV-XVI ს. ვრცელდება; პროფ. კეკელიძე ამ მოვლენის წარმომშობ მიზეზსაც საკმაო სიცხადით განმარტავს. ამ ტომში ჩვენ ვეცნობით ქართული საერო მწერლობის ყველა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ნიმუშების დახასიათებას და მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მეცნიერულ კრიტიკას. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ავტორი იხილავს აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის დრამატიულ დარგს და ამით საშუალებას აძლევს ჩვენი კულტურის მკვლევართ, რომელნიც ქართული თეატრისა და სათეატრო მწერლობის ისტორიით არიან დაინტერესებულნი, თავიდან აიცდინონ ის შეცდომა, რომელიც ამ ისტორიის, ex abrupto, მე-19-ე საუკუნის ნახევრიდან დაწყებაში გამოიხატებოდა...

ამ მცირე წინასწარ შენიშვნაში მე ვერ შევეხები ამ შრომის სრულ დახასიათებას; ამას უფრო მეტი დრო და ადგილი სჭირდება. ამიტომ იგი შემდეგისათვის გადავდვათ... ვიტყვი მხოლოდ, რომ პროფ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სახით ჩვენ შევიძინეთ ძველი მწერლობის მაღალხარისხოვანი მეცნიერული შრომა, რომელიც ჩვენი კულტურის სალაროში უეჭველად ძვირფასი განძი იქნება... **ანაბაპტისტი.**

## დუშეთის დრამატიული დასი:



რ. კორინთელი, ნ. რთველიაშვილი, თ. ჩოხელი, ე. ავალოვი, ალ. ჩოხელი, არ. კორინთელი, ან. ფსუტური. მ. აბრამაშვილი, ბ. ლითანიშვილი (ხელმძღვანელი), ე. ნავაძისა, ნ. ავალოვი, ბ. ჟღენტი, ს. როინიშვილი, ვ იშხანოვი, ლ. ზაქაიძე, ვ. როინიშვილი, ს. ნავაძე, დ. კობიაშვილი, გ. ბახუტაშვილი, გ. ლაგაზაშვილი, ალ. კობიაშვილი, გრ. კანდელაკი, იას. გაგოშიძე, ლ. აზრუმელაშვილი, შ. კაზიანი და ა. კარიაული.

# შრომის სიმბოლო

(ივანე როსტომაშვილის ხსოვნას. მი!ი გარდაცვალებიდან 6 თ. შესრულების გამო)

ვის არ გაუგონია ვანო როსტომაშვილი, გლეხთა წრიდან გამოსული, ნამდვილ გლეხურ-ხალხურის ენით მწერალი, —ეს ნამდვილი ენციკლოპედისტი არა მხოლოდ ცოდნით, სიტყვით, წერით, არამედ საქმიანობითაც:

მასწავლებელი და აღმზრდელი, მწერალი და გამომცემელი, არქეოლოგი და ისტორიკოსი, მეურნე და ჟურნალისტი, ბუნებისმეტყველი და შინაურ ექიმობის მცოდნე,—პირველი დამაარსებელი ხალხურ გამოცემათა: კაპიკიან გაზეთის („სინათლე"), თვიურ ჟურნალის („მოგზაური", რომელ-ც ბოლოს კვირეულად გადააკეთა), შემდგენ-გამომცემელი სახელმძღვანელოების, ქართველთა ტომის ალბომის, სამეცნიერო-ხახალხო სამეურნეო სამკურნალო იაფ-ფასიანი წიგნაკების, ენციკლოპედიურ ლექსიკონის („სალარო ცოდნისა", ა. ბ. ვ დ.), პირველი დამაარსებელ-ი ურთიერთ დამხმარე და დასაკრძალავ სალაროების, დეპოსი—დღევანდელ კოოპერატივის სახით,—საგლეხო ბანკის, გლეხის ღარიბ-ობოლ გოგო-ბიჭთა სკოლის და... რომელი ერთი მოვთვალოთ? მოკლედ: ეს იყო დაუცხრომელი და მრავალმხრივი შრომის სიმბოლო.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე—1874 წ. 1924 წ. ეს ტანით პატარა სულით მთლიანი ადამიანი სულის ამოსვლამდე, კაცთადმი უაღრესი რწმენით აღსავსე, ჭაბუკურის გატაცებით აზროვნებდა, მუშაობდა—სწერდა, საქმიანობდა.

— „მეტი სინათლე ხალხს, ცოდნა ყველას ყველასი, ურთიერთი სიყვარული და შეუჩერებელი, პატიოსანი შრომა ადამიანთა საბედნიეროდ!"—აი მისი მცნება.

ივანეს ცხოვრება-მოღვაწეობის დახასიათებას შემდეგში დავუბრუნდებით, ახლა-კი ვიტყვით, რომ ეს იყო, იშვიათი პიროვნება, ჭეშმარიტი ხალხური მოღვაწე და თუ გნებავთ თავისებური კომუნარი—ამ სიტყვის კეთილშობილ- გაგებით.

დაიბ. 1852 წ. დეკემ. 25 კახეთში—თელავს—ს. კურდღელაურში, გარდ. 1924 წ. აგვ. 27-ს, ქ. ტფილისში, დაიკრ. დიდუბის პანთეონში.

**იოსებ არიმათიელი.**

# დავიწყებული ამაგი

35 წ. სრულდება რაც ამხ. გ. ჯაბაური საზოგადოებას ემსახურება უანგაროთ, დაუღალავად.

გიორგი ჯაბაური ერთი იმ მუშათაგანია, რომელმაც თავისი დაკოჟრებული ხელებით სხვა მუშებთან ერთად დაჰკრა კვერი სახალხო სახლის სცენის აშენების დროს, „ავჭალის აუდიტორიაში" 1893 წ. დღემდის უანგაროთ მუშაობს, ერთხელვე რჩეულ გზიდან არ გადუხვევია; გიორგიმ პირნათლად შეასრულ- თავისი მოვალეობა, რაც დადასტურდა 1923 წ. 9 დეკემბერს სახალხო თეატრის 30 წ. იუბილეს გადახდით. თუ სახალხო თეატრს ეღირსა იუბილე, რატომ მის ერთ აღმზრდელთაგანს არ უნდა გადაუხადოთ შესაფერი მადლობა.

ძვ—შა ვ. ირინეხშვილი

# სად რა კეთდება?—ვინ რას აკეთებს?

## ბათომის მუშათა ცენტრალურ კლუბში

დიდი ხნის მუშაობის და მრავალ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ პროფკავშირთა მეცადინეობით (ამხ. საშა ფირმოვის სახით) მუშების ნატვრა განხორციელდა გაიხსნა მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც მშვენივრად არის მოწყობილი: შენობა, სცენა, სკამები, დეკორაციები ძირეულად არის შეკეთებული და განახლებული, ზოგი მოწყობილობა სრულიად ახალად შეძენილი. თეატრი იტევს 450 კაცს. დაჯდა 8.000 მ.

კლუბთან მოწყობილია ლენინის კუთხე, დასასვენებელი ოთახი, წიგნთსაცავი—სამკითხველო, მდიდარი ყოველგვარი ლიტერატურით. მოდის ადგილობრივ, ტფილისის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთები. არის აგრეთვე მუშებისათვის საგანგებოთ მოწყობილი დარბაზები სხვა-და სხვა წრეების სამეცადინოთ (პოლიტიკური, პროფმოძრაობის, მომღერალთა გუნდის, დრამატიული, მუსიკალური და ლიტერატურულ-მხატვრული. თითოეულ წრეს მიჩენილი ჰყავს საგანგებო ხელმძღვანელი. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად, საღამოობით, რომელსაც მუშები ხალისიანად ეტანებიან.



**გრ. შავიშვილი—კლუბის გამგე**

ამ წრეებიდან თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ პოლიტიკურ და პროფმოძრაობის წრეებს, ქართველ მომღერალთა გუნდს, რ-მელსაც ხელმძღვანელობს დამსახურებული მუსი-ოსი მელ. კუხიანიძე. დრამატიული წრე შემდგარია ადგილობრ-ივ სცენ-სმოყვარეთგან. წარმოდგენები იმართება თვეში ორჯერ. ხელს უშლის სათანადო პიესების უქონლობა. აქვეა მუშებისგან შემდგარი რუს. დრამ. წრე მეშჩერინის ხელმძღვანელობით, რომელიც მუშაობს მეიერხოლდის სისტემის მიხედვით. ამ თეატრს ჰქვიან „ლურჯი ხალათი". კლუბთან შესდგა სიმებიანი ორკესტრი, 50 კაც. მოეწყო კინო. სურათებს აჩვენებენ კვირაში ორჯერ. უმეტესად სოციალური შინაარსისა. კლუბმა ხელშეკრულება დასდვა ელექტროტრესტთან მიმღებ რადიო-აპარატის მოწყობის შესახებ დარბაზში. ამ აპარატის საშუალებით დამსწრე საზოგადოება მოისმენს კონცერტებს პარიზიდან, ბერლინიდან და სხ. აგრედვე მოსკოვიდან ლიდერების' სიტყვებსა და სხვადასხვა ყრილობის კამათს. ამ კლუბით მუშები კმაყოფილნი არიან. ჰყავს 1020 წევრი. ეს რიცხვი თანდათან იზრდება.

კლუბის გამგედ მოწვეულია საკლუბო მუშაობაში გამოცდილი და მომზადებული ამხ. გრ. შავიშვილი, რომელიც თავს დასტრიალებს კლუბს და არავითარ ძალღონეს არ ზოგავს მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

**ნუნუ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ წერეთელი



(წერილი მოსკოვიდან)

I

კონცერტი.

პროფკავშირთა სასახლის დარბაზში 2500 ადგილია. პირველი ზარი. ყველანი საჩქაროდ იკავებენ თავიანთ ადგილებს, თითქოს მისწრებაზე იყოს ადგილის დაჭერა, როგორც კინო-თეატრებში.

არც ერთი ადგილი თავისუფალი. მრავალი დგას. ფეხზე—ესენი „კონტრამარკისტებია". კონცერტის პროგრამა ასეთია: მოსკოვში ცნობილი ბოშური გუნდი პოლიაკოვის ხელმძღვანელობით და თამარა წერეთელი. უნდა ითქვას, რომ პოლიაკოვის გუნდი იმდენად ძლიერია შემადგენლობით და სასიამოვნო მოსასმენად, რომ ის სრულიად ამართლებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს მის შესახებ.

საზოგადოება პოლიაკოვის გუნდს თბილი აპლოდისმენტებით ისტუმრებს.

სცენა განთავისუფლდა... დარბაზში სიჩუმეა. ვიღაც ახალგაზდა აცხადებს: „ახლა იმღერებს თამარა წერეთელი". საკმარისი იყო ამის თქმა, რომ ელვის სისწრაფით გაიშალა ტალღა ზღვა ხალხის შეუკავებელი ოვაციებისა.

არ იქნება ზედმეტი, თუ ვიტყვით, რომ მთელ დარბაზში, რამდენადაც შეიძლება თვალის გადავლება, მე და კიდევ ორი-სამი ფიგურა თუ იქნებოდა, რომელიც ტაშს არ უკრავდა, თორემ დანარჩენების ხელები მოწყვეტელი იყო დამშვიდებას.

ახალგაზრდამ დიდხანს დაჰყო სცენაზე და სთხოვა საზოგადოებას დამშვიდება, რის შემდეგ დასძინა, რომ როიალთან არის ბორის პროზოროვსკი, რამაც კვლავ განაახლა ოვაციება.

დამშვიდდა დარბაზი.

უცებ ჩვეულებრივი გაშლილი ღიმილით გამოჩნდება თამარ წერეთელი და პროზოროვსკი...

შეუკავებელი ყიჟინა „ბრავო წერეთელი". დარბაზი სმენად გადაიქცა.

პროზოროვსკიმ შეახო ხელი როიალის კლავიშებს და მეტად სუფთად, სამაგალთო ოსტატობით აამღერა იგი.

დარბაზი შესცურდა სევდის იდუმალ ატმოსფეროში, რადგანაც პროზოროვსკიმ მიმოფანტა ნაცნობი ჰანგი რომანსისა „მშვიდობით, მე მივდივარ".

გულზე ხელებ-დაკრეფით, თავის განზე გადახრით, სახეზე მწუხარების მოხაზვით თამარამ ხმაააჟღერა როიალს...

სამაგალითოა ეს მომენტი უცრემლო ქვითინის გადმოცემისა....

დარბაზში არავინ გაინძრევა, არც დაახველებს, ისეთია ეს დუმილი, თითქოს არავინ სუნთქავს, ეშინიათ ხელი არ შეუშალონ რითიმე იმათ, ვისაც ეს სიჩუმე ეკუთვნის...

დამთავრდა სიმღერა... ქვითინის მომენტს საზღვარი დაედო... საზოგადოება გამოერკვია... ბურუსი გაიფანტა. კვლავ ღიმილი თამარას ტუჩებზე და სამადლობელო თავდახრა...

და ეს მთელს საღამოს...

ასეთი გამარჯვება... ასეთი ზეიმი...

უყურებ ამ სურათს, გრძნობ ამ მომენტს და ხარობ შენი თანამემამულის გამარჯვებით.. და სრულიად მოულოდნელად თვალებზე ამ სიხარულის ცრემლებიც კი მოგადგება...

არ შემიძლია არ აღვნიშო, რომ თამარა წერეთელის ასეთ გამარჯვებას უსათუოდ ხელს უწყობს აკომპანიატორი პროზოროვსკი მეტად მხატვრული და მუსიკლაური შრომით... ეს გარემოება, როგორც უდავო ფაქტი, შეთვისებული აქვს თვით მომღერალ ქალს.

II

ლეგენდა—სინამდვილე...

მოსკოვში, როგორც ლეგენდა, დადის თამარ წერეთელის ტრიუმფი დიდი თეატრის სცენაზე.

მიუხედავათ იმისა, რომ კონცერტზე მონაწილეთა შორის იყვნენ ნეჟდანოვა, სობინოვი, კაჩალოვი და სტანისლავსკი საზოგადოებამ თავისი გარკვეული ყურადღებით საერთო სურათიდან გამოჰყო თამარ წერეთლის პატივისცემა.

ამ გამარჯვებას ჰქონდა შემდეგი გვირგვინი: გერმანელმა ტრაგიკმა სანდრო მოისიმ უთხრა მომღერალ ქალს—„თქვენ დაიპყრობთ ლონდონს, ბერლინს და პარიზს, ოღონდ წადით!" უთხრა რა ეს, შუბლზე აკოცა, როგორც ახალგაზრდა მომღერალს.

მოისის სურვილი ძლიერ ჩქარა ასრულდა. თამარ წერეთელი, პროზოროვსკისთან ერთად, ლონდონის საკონცერტო ბიუროს „ბრაუნის" წარმომადგენელმა საკონცერტო ტურნეზე მიიპატიჟა ერთი წლით, ინგლის—ამერკა—ავსტრალიაში.

III

სამშობლო ქვეყანა და მისი შვილი.

„მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, ჯერ კიდევ მეცადინეობის პროცესში. ვერც ჩრდილოეთში ყოფნა, ვერც საზღვარგარეთული ცხოვრება, მე ჩემს ქვეყანას ვერ დამაცილებს. ჩემი მომავალისათვის, ჩემი განვითარებისათვის საჭირო იყო პატარა სამშობლოს საზღვრებიდან გასვლა, მაგრამ მოვა დრო, და მე სრულიად დამთავრებული მომღერალი, გარკვეული სკოლისა და მიმართულების მივალ ჩემს სამშობლოსთან და ვემსახურები მას ყოველივეთი, რაც ჩემს განკარგულებაში იქნება. დამიჯერეთ, ვერავითარი გამარჯვება მე ჩემს სამშობლოს ვერ დამავიწყებს და იქ, სადაც მე პირველად ვიმღერე, იქ იქნება მოსმენილი ჩემი უკანასკნელი სიმღერაც".

მითხრა თამარამ.

მიხ. ღვამიჩავა

ქ. მოსკოვი. 2 იანვარი. 1925 წ. სასტუმრო „ბრისტოლი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგია უიშვილი

ეგ. ნინოშვილის მოთხრ. გად. ჭ. გელეიშვილის მიერ. (დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 2).

## მეორე მოქმედება.

(გოგიას სახლი. შუა ღამეა. ფარდის აწევისას ცეცხლის პირას სხედან გოგია და მარინე. ლოგინში შვილებს სძინავთ, გოგიას თავი აქვს შეხვეული. პაუზა).

**მარინე.** (პაუზის შემდეგ) გოგია, ჭამე რამე!.. ახლა, ვითამ თავები რომ დევიხოცოთ, ამით რა გაგვიკეთდება? რა უყოთ, ბევრს ჩვენზე მეტი დამართია... არ გაგიგონია ჭკვიანის ნათქვამი „ჭირს ქვის კედელსავით უნდა შეხვდეო“... მეიბრუნე გული, ხეფსი გადაყლაპე—მშიერს რა გაგაძლებიებს, შე საწყალო!..

**გოგია.** ოხ, ღმერთო!

**მარ.** ვაი, ჩემ დღეს!. კაცის ფერი რომ აღარ აქ, საჭმელს რავა ჭამს!.. ნეტაი არ გადირეოდეს და სხვას არ ვჩივი!.. ან რა გასაკვირვალია, რაც დღეს მას საქმე უყვეს... იმას ურია არ უზამდა ქრისტიანს!.. იმ ამბის მნახველი ან მე, ძაღლის დასაჭმელი, რავა ვარ ცოცხალი?.. ღმერთო, შენ გაამწარე იგი, ვინც ჩვენ ამისთანა დღეი დაგვაყენა... რაით შევეგებო ახლა კალანდას?.. ღორი ჩვენ არ გვყავს და ქათამი... ყველაფერი იმ ურჯულოებმა გაახიბაკეს დღეს... ბაღნებს რა ვაჭამო ხვალ, ხომ შიმშილით დამეხოცენ... ღმერთო რას შემასწარი ამას?.. (გოგიას)... კაცო ჭამე რამე!..

**გოგ.** (ყურს არ უგდებს) ოხ, რა მიქნეს!.. რა მიქნეს!.. რავა დამაქციეს... რას მემართლებოდენ ის ურჯულოები?.. რა დაუშავე?.. ჩემთვის კალანდას ვეგებებოდი და არ მაცალეს. ჯანყს აპირებთო?.. მე ვიცი თქვენ ვინცა ბრძანდებით, მადროვეთ და სულ თითოულათ დაგაძრობთ ტყავსო... ჩვენდა ქვეყანაზე არც სამართალი ყოფილა და არცა რაი!.. მე გამლახეს, მე მომთხარეს და დამაქციეს... სამართლის კარზე მივედი მეგონა.. და იქანაი უარესი მიქნეს!.. მცემეს და მერე... წკეპლებით... წკეპლებით!.. ოხ, სადა ხარ სამართალო, ღმერთო, ხატო!.. მარა რაღა დროის, თურმე სულ ტყუილი ყოფილა ყველაფერი ქვეყანაზე...

**მარ.** კარგი გოგია, ნუ სცოდავ ღმერთს... რაც მოხდა, მოხდა... ახლა თავებს ხომ არ დევიხოცავთ...

**გოგ.** „ნაჩალიკმა“ რომ დეიყვირა წაათრიეთ და 30 წკეპელი დაარტყითო... ერთი სიკვდილი მაშინ გევიარე... წამაქციეს,.. დამკრეს, მარა რავა დამკრეს... ერთი, ვაითქვა დივიძახე და მერე კი არ ვიცი რა მომივიდა... გული შემიწუხდა... როცა გონს მოვედი... ვნახე რომ ცივ ოთახში ვეგდე... ორ საათს ვიყავი გაბრუებული... ხმაი არ ამომიღია... გევიხედე, ვიღაცამ კარი გააღო და მითხრა: „თავისუფალი ხარო“... „ნაჩალიკს“ ეთქვა, რადგან ხვალ კალანდა არის, ის გლეხი სახლში გუუშვითო... გამოვედი გარეთ და არც მე ვიცოდი სად მივდიოდი... ის იყო, შენც ჰისკართან დამხვდი...

**მარ.** მე სულ ჰისკართან ვიყავი გაჩერებული... ვეხვეწე სალდათს, მარა არ შემომიშვა... ის კი არა, ღმერთო მომკალი... კოცნა მომინდომა..

**გოგ.** ხო, და—ეს არის სამართალი?.. ამის მერე კიდო ცოცხალი უნდა იყოს კაცი?.. რა სიცოცხლე უნდა იყოს შენი სიცოცხლე იმის მერე, როცა ძალით ყველაფერს წაგართმევენ, ცემით თავ-პირს დაგიმტვრევენ... ოჯახს შეგიბილწავენ იმის მაგიერ, რომ შეგიცოდოს ვინმემ, ამ დროულ კაცს კიდო წკეპლით ზურგს დაგილურჯებენ... ამას ცხოვრება ქვია?.. ამისთანა ცხოვრებაც შეარცხვინა ღმერთმა... ასე ძაღლიც ქე ცხოვრობს...

**მარ.** გეყოფა გოგია ამდენი ჯავრობა... შე საცოდავო, ასე რავა იქნება... სულ თუ იმაზე იფიქრე, გადირევი შე საცოდავო და მეტი აფერი... აგერ შუა-ღამეზე გადასულია... კალანდა დღეი თენდება... მევისვენოთ, დროიანათ... არ გესმის, კაცო?.. (დგება).

**გოგ.** ავი დამანებე... შენ თუ გინდა დაწევი... (მარინე მივა ტახტთან).

**მარ.** ღმერთო შენ მოგვიმართე ხელი... შიმშილით ნუ ამოგვწყვეტ... ღმერთო, შენ ხარ ჩვენი პატრონი... (წვება... გოგია თავჩაღუნული ცეცხლს მისჩერებია.) გოგია... როცა დაწვე... ცეცხლი არ დატიო დუუქრობელი, იცოდე... (იძინებს პაუზა).

(ისმის მამლების ყივილი და ძაღლების ყეფა... ისმის თოფის ხმა... თოფის ხმაზე გოგია შეკრთება).

**გოგ.** არა... არ შემიძლია... მეყოფა... ყველაფერი გათავდა... მეყო რაც ვიტანჯე... სულ ერთია, მაინც აფერი გამოდის... (დგება... მივა ლოგინთან და ცოლშვილს გადახედავს... მიდის კუთხეში და თოფს აიღებს და გარეთ გაიხედავს!... საწყალი ჩემი ძაღლი „წავიაი“.. რა გამწარებული კიოდა... ალბათ ძაან მწარეა სიკვდილი... (მიუბრუნდება ცოლ-შვილს)... გლალატობ, ოჯახო!.. გლალატობ ცოლ-შვილო!.. მე მივალ... ვთავისუფლდები და თქვენ გტიებთ სატანჯველში!.. მომიტევეთ!.. ველარ გაუძელი... ველარ ავიტანე მეტი და გაგექეცით!.. გილალატე მარინე... დავყარე შვილები შენს ამარა... შენ უფრო სულგრძელი ყოფილხარ ჩემზე... რა იმედით დავიწყეთ უწინ ოჯახობა... ვიფიქრებდი რომ ამნაირათ დაბოლავდებოდა!.. ღმერთია მოწამე, თუ სხვა არა, რაც თავს მოვესწარი მერე დღეი არ მომისვენია და ღამე... ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემ დღეს მაინც საშველი არ დაადგა!.. ერთი არ გამიხარია... სხვაი, სხვაია და წკეპლით ცემა!.. არა ამას მე ვერ ავიტან... ამას იქით ცხოვრებაც არ ღირს... ყველაფერი გათავებულია... მშვიდობით ცოლ-შვილო!.. მაპატიე მარინე... (კოცნის ცოლშვილს).. მაპატიეთ, რომ ასეთ სატანჯველში დაგტიეთ... ყველამ მიუტევეთ თქვენ მოღალატე გოგიას... თქვენ გგონია ჩემდა ადვილია თქვენი მოცილება?. მარა რა ვქნა... სჩანს ასეთი ბედი მქონია... მშვიდობით მარინე... მშვიდობით შვილებო... ნიკო... თებრო... (კოცნის)... მაპატიეთ რომ საკალანდოთ პერანგები ვერ გიყიდეთ.. მშვიდობით... მშვიდობით.. (გადის გარეთ... ისმის თოფის ხმა) (პაუზა. თენდება სროლის ხმები).

**მარ.** (ილვიძებს)... გოგია... არ გეყურება თოფის ხმაი?... გათენებულა კიდეც... ადექი კაცო, ჩვენც გევილოცოთ... (დ ება)... რავა ღრმათ დაგძინებია, შე საწყალო!.. (დაეძებს გოგიას) – ნეტაი სად წასულა?... წყალზე თუ ჩავიდა პირის დასაბანათ... (გადის. ისმის მარინეს კივილი)...—ვაი, მე... თავი მოუკლავს... გოგია... რა გვიქენი ეს?.. მიშველეთ... (ტირილი შეწყდება).

**მარინე.** (შემორბის თმა-გაწეწილი სიცილ-ხარხარით...) ხა... ხა... ხა... იცით რა მითხრა ყურში გოგიამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რადგან ღორი არა გვყავს, იმის მაგიერ ძაღლი მოვკალი და ის გააკეთე შაშხათო“... ხა... ხა... ხა... რა ჭკუიანია გოგია... ხომ ჭკუიანია?.. რა ქეიფი და სიმდიდრე იყო გუშინ ჩვენსას... რა მიხარიან... რა მიხარიან... (იცინის) ნენა რა კარგათ მღეროდა ერთი ყმაწვილი... რა კარგი იგო... რავა ლამაზათ მღეროდენ... (აჯავრ ბს და მღერის)... „გოგო წითელ პერანგა, შენ რომ წახვალ მე რა ვქნაო... აბა დელა... დელია, დელია...“ ოხ... რა კარგი იყო... რა კარგი... (შეხედავს შვილებს ლოგინში)... ეს ვისი გოჭებია?.. რა კარგებია... რა ლამაზებია... ჩვენ ხომ გოჭები არ გვყოლია... ესენი ვინ მოიყვანა?... საიდან მოსულან... რა კარგებია... (იცინის)... იცით, გოჭებო... მე თქვენ დაგკლავთ... შაშხი უნდა... გავაკეთოთ... გოგიას უყვარს შაშხი... ხომ ჩემო გოგია... დანას აიღებს... მიდის ლოგინთან)... იცოდე... არ იყვირო... სუ... წმინდა ბასილე გაჯავრდება... სუ... სუ... ნუ ყვირი... (ჩაკრავს დანას ერთ ბავშს)... აი, ასე არ სჯობია?... ახლა შენ... სუ... არ იყვირო... გაჩუმ[illegible]... კისერი მიჩვენე... ასე... ასე... (ჩაკრავს დანას მეორე ბავ[illegible])... რა მსუქნებია... (იცინის)... გემრიელი ხორცი... ექნებათ... ახლა კიდო გაწყრება... წმინდა ბასილე?... (იცინის)... ნუ გეშინია... გოგია... კაი შაშხს გაგიკეთებ... შენ ხომ გაგიხარდა გოგია?... მეც გამიხარდა... წმინდა ბასილესაც გაუხარდება... ხომ, გაუხარდება?... ხა... ხა... ხა... (სიცილ-ხ რხარით გარბის).

ფ ა რ დ ა.

ქ. გელეიშვილი.

# სათეატრო მიმოხილვა

**სახელმ. საოპერო თეატრში**—თებერ. 8 გაიმართა სერ. ივან. ევლახიშვილის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე. იუბილიარმა იმღერა ონეგინი, რომლის ნაზი და მომხიბლავი ხმა იმდენად მოეწონა საზოგადოებას, რომ ზოგიერთი ადგილი გაამეორებინეს. მიულოცეს ხელოვნების, მწერლობის, დაწესებულებათა და სახელმწიფო წარმომადგენლებმა. თითქმის ყველამ ერთპირად აღნიშნა ევლახიშვილის მუყაითობა, შრომის მოყვარეობა და სიყვარული სასცენო ხელოვნებისადმი, როგორც ხელოვანის, მოსაქმის, მეგობრის და ადამიანის. საზეიმო კომისიის თავმჯდომარემ ი. გედევანიშვილმა ა.-კ. და საქართველოს კომ. საბჭოების და განათლების კომისარის მხრივ გადასცა 800 მ. აგრეთვე გამოუცხადა დადგენილება, რომლის ძალითაც ევლახიშვილს მიეკუთვნა დამსახურებულ მსახიობის წოდება.

დასასრულ იუბილიარმა მშვენიერი მოკრძალე სამადლობელო სიტყვით მიმართა საზოგადოებას: „სალამს ვუძღვნი და ვეთაყვანები ყველა ჩემს თანამოსამსახურეთ, ორკესტრს, მუშებს, სცენის მტვერს, ამ წმიდა ასპარეზს, მთავრობას და საზოგადოებასო“.

იყო საჩუქრები, ვარდ-ყვავილები, ადრესები, ი. გრიშაშვილის ლექსი ნოტებზე და ხვევნა-კოცნა მრავალი, აგრეთვე აურაცხელი დეპეშა.

**კენტი**

**ოპერის თეატრში**—ორშაბათს, იანვ. 9-ს, გაიმართა, ოტელოს ლიტერატურული გასამართლება.

ხალხი აუარებელი დაესწრო, მაგრამ სასამართლომ ვერ გაამართლა იმედები.

მეტად უფერული და ზანტი იყო ესოდენ მნიშვნელოვანი ლიტერატურული გასამართლება.

კარგი იყო პროკურორის შოთა დადიანის, დამცველ ღვამიჩავას სიტყვა, თუმც ისინიც ვერ მიუდგნენ ოტელოს საჭირო გაგებით.

ოტელო—ეს ბუმბერაზი პსიქოლოგიური ტიპი მეტად დააწვრიმალეს და ჩვეულებრივ მომაკვდავ ადამიანის ჩარჩოებში ჩასჭედეს.

მომაჯადოვებელი იყო ბრალდებული ალ. იმედაშვილი—ოტელო, რომელმაც თვისი საბოლოო სიტყვით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე. ოტელო მავრი ოტელო აფრიკის გაბოროტებული ვნება, რომელმაც იცის სიყვარული, როგორც არავინ, ოტელო, რომელმაც იცის იჭვი როგორც არავინ... ასეთი იყო ალ. იმედაშვილი.

„ო, მსაჯულნო მე მიყვარდა დეზდემონა და მოვკალ მისთვის, რომ მიყვარდა ის“...

ათავებს ბრალდებული თავის სიტყვას.

თავშეუკავებელი აღტაცება გამოიწვია მისმა მგზნებარე სიტყვამ.

თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა შემდეგი განაჩენი გამოიტანეს:

დამნაშავეა ოტელო დეზდემონას მოკვლაში, მაგრამ შეუმსუბუქდეს სასჯელი. ხოლო კასიოს მოკვლის განზრახვაში გამართლებულ იქნას.

საერთო შთაბეჭდილება მეტად ღარიბი დარჩა. საზოგადოება უკმაყოფილო დაბრუნდა. განაჩენიც ვერ იყო შესაფერი.

**ვალენტინა.**

**ქართველ ებრაელთა დრამკოლ. „კად. მა“-მ**—თებ. 11 დივთეატრში წარმოადგინა გერ. ბააზოვის ახალი ორიგინალური ისტ. ტრაგ. „საიდუმლო ბინა“, 5 მოქ. XV-ს. ესპანეთის ებრაელთა ცხოვრებიდან. პიესას საერთოდ მომზადება აკლდა. აღმასრულებელთაგან ყურადღებას იპყრობდენ დ. ბააზოვის ქალ-ვაჟნი: ფანია (მარიამ) და ხაიმ (ფედრო), აგრეთვე ილ. დავიდაშვილი (დონ სებასტიან) და შ. ათანელოვი (დონ ლუიზ).

**სომხეთის მეურნეობის** დამხმარე საქართ. სომეხთა კომიტეტის თაოსნობით დივთეატრში 13 თებ. წარმოდგენილ იქნა „რაც გინახავს ველარ ნახავ“ ა. ცაგარლისა, გ. ფირუმიანის მიერ ორ მოქმედებად გადათარგმნილ-გადაკეთებული. პიესა ცოცხლად შეასრულეს და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა. ტიპიურები იყვნენ ვ. მარკოზოვი (გიჟუა), ფადარიანი (დავითი), მამიკონიანი (ზახ. დავ.), ხორენა (ფიჩხულა), ტერ-დავითიანი (გეო), ტერ-აკოფოვი (კატინე) და გარაგაში (ლიზა); აგრეთვე მშვენიერი სახეები მოგვცეს გ. ფირუმიანმა (ავეტიქა), სარუხანოვმა (საქულა), გავროშამ (მოურავი), პაპარემ (კოსტაია), გ. გასპაროვმა (ილო). კატინეს შემოსვლა დავითთან გადამლაშებულია. ისედაც საკმაოა მარილი. მეორე განყოფილებაში გაიმართა აშუღების გამოსვლა.

შეასრულეს საიათნოვას სიმღერები სამი ენაზე. მღეროდენ შახბათოვი, აბრამოვი და სხვ. ალ. ოღანეზაშვილმა იმღერა საიათნოვას ლექსები თათრულად, სომხურად და ქართულად, აგრეთვე დაუკრა აღმოსავლურ სხვადასხვა საკრავზე, რითაც აღტაცება გამოიწვია. გ. ფირუმიანმა წაიკითხა საიათნოვას ქიამანჩა, ი. გრიშაშვილმა—საიათ-

# „ძლვენისა“ ზედან უძლვნესად!..

ოდეს ლომი დაუძლურდა.
ვირმაც წიხლი ურცხვად სტლინკა...
ეშმაკი რომ გადაშენდა,
ტარტაროზად დაჯდა ჭინკა..
ზურგიელ სოლომონისძე

მე **იოსებ იმედისძე**
ვიქმ საქმესა ამადარი:
ვცემ **„თეატრი და ცხოვრება“-ს,**
კარგია, თუ ავად არი!..
არ მწამს ყველა, რაც რომ თეთრზე
აღბეჭდილი შავად არი,
თორემ **უცნობს** მეცა ვსცნობდი,
წესია და სამართალი!..

მთხოვს—ჟურნალში ერთხელ მაინც
დავხატო, ვსცნა მისი **ძლვენი!**
ვერ ვქნა მე ეს, ჯერ ჩემი და
კვლავ ჟურნალის შემარცხვენი!..
ეტყობა, რომ იუმორის
დიდი არის მასში სენი,
გულში მჭვარტლი მორევია,
დაიმშვენოს მითი სხვენი!..

**„პროლემაფის“** მწერალს ვგევარ?
ღირსი არ ვარ მე ამ ქების.
„პროლემაფი“ ხომ ცნებაა
წინსვლისა და წარმატების?!.
**ნუ ზომლეთელისკენ** სვლა
ნუ თუ ცოდვათ ჩამეთვლების?
აი, შენებრ **უცნობს** ავყვე,
ცოდვაც სწორედ ეს იქნების!..

მო, ნიღაბი მოიხსენი,
იუმორსაც ხელი უშვი,
სჩანს, ლექსიც არ გეხერხება:
რაებს სჩმახავ, რას იფუშვი?
ერთი ორი ისე მითხარ,
საიმედო რამე თუ შვი,
თუ არა და, რაც გადაგრჩა,
შეინახე თავის „ღრუში“!..

**...ცნობი..**

---

ნოვა და ჰოვანეს თუმანიანის „ერთი წვეთი თაფლი“, რასაც დამსწრე საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. ეს განყოფ. დასდგა მხატვარმა ბაშინჯაღიანმა. ცოტა გრძელი იყო. დასასრულ გაიმართა საზოგადო ცეკვა სომხური ფერხული, უზუნდარა და სხ. დაესწრო დიდძალი რჩეული საზოგადოება. **მეგობარი.**

**თელავი.** რამდენიმე თვეა რაც ჩვენი დამსახურებული მწერალი ია ეკალაძე განათლების ინსპექციამ მოიწვია ქართულ ენის მასწავლებლად 9 წლიან შრომის სკოლებში. ია ეკალაძის მოწვევით ქართულ ენას მიმდინარე სამოსწავლო წლიდან შესაფერისი ყურადღება მიექცა და თამამად შეიძლება ითქვას, დღეს იგი (ქართული ენა) თელავის ორ სასწავლებელში მაინც თავის სიმაღლეზეა დამდგარი და ჩვენი მოზარდი თაობა ამ მხრივ უზრუნველყოფილია.

მიუხედავად იმისა, რომ იაკობი სულ 3-4 თვეა რაც თელავში სცხოვრობს, მალე დაიმსახურა არა მარტო თავის მოწაფეთა, არამედ ქართველ საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა. თვით მოწაფენი ხომ ისე შეეთვისნენ თავის მასწავლებელს, რომ უიმისოდ ველარ წარმოუდგენიათ როგორც სკოლა, ისე თავიანთი თავი.

აი ამ მოწაფეებმა თებერ. 6 დადგეს თავიანთ მასწავლებლის პიესა „ოცდაერთი ჯვრით“.

წარმოდგენები ხშირად იმართება თელავში. სდგამენ სხვადასხვა პიესებს, როგორც მოწაფეები ისე სცენის მოყვარენი, მაგრამ, ისეთი მთლიანი პიესის დადგმა როგორც თელავის პედაგოგიურ ტეხნიკუმის მოწაფეებმა მოაწყვეს, ჩვენს სცენას კარგა ხანია არ უნახავს.

მომზადება, დადგმა და ახალგაზრდების თამაში საერთოდ ხელს უწყობდა ანსამბლს. მოწაფეებში მხოლოდ ერთი სცენის მოყვარე ერია ვ. ბაკურაძე, რომელიც ასრულებდა ირ. კოვზირიძის როლს. ბაკურაძე დაკვირებული სცენის მოყვარეა, ნაკისრ როლს ყოველთვის სვინდისიერად ასრულებს.

მოწაფეებმა გვარიანად ჩაატარეს თავ-თავიანთი როლები, გარდა ზოგიერთებისა. მათ შორის ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ერთმა მოწაფემ ს. კრემენაშვილმა, რომელმაც განოს როლი მშვენივრად შეასრულა. მას უტყუარად ეტყობა მსახიობის ნიჭი.

მოწ. კრემენაშვილი სოფ. ყვარელიდამაა (თელავის მაზრა). იგი ხელმოკლეა და პედაგოგიურ ტეხნიკუმში სოფლის მასწავლებლად ემზადება. ჩვენის აზრით, მას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ტეხნიკუმის მაგიერ დრამატიულ დასის სტუდიაში რომ იმყოფებოდეს.

საღამო გაიმართა ამავე ტეხნიკუმის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ და ხალხიც ბევრი დაესწრო. წარმოდგენას დაესწრო თვით პიესის ავტორიც ია ეკალაძე, რომელიც რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ და ოვაციები გაუმართა. **დავიწყებული.**

**გორის სათეატრო საქმიანობას** წრევანდელმა თოვლიანობამ უზომო ზარალი მოუტანა: დიდი თოვლის გამო დაინგრა საზაფხულო თეატრი ქალაქის სასეირნო ბაღში, რომელიც ერთადერთი გასართობი იყო ზაფხულობით. საჭიროა გამოდარებისთანავე მიღებული — იქნეს ზომები შენობის აღსადგენად, ამჟამად კი ყურადღება მიექცეს დანგრეული შენობის მასალის გამორჩევას და შენახვას.

მუშათა კლუბს თანდათანობით ეტყობა წინ სვლა, რის მიზეზიც უეჭველად რეჟისორი დავით აბდუშელია, რომელიც დიდ ენერგიას და ერთგულობას იჩენს თეატრალურ საქმეში. ისეთი პიესებიც-კი დასდგა, რომლებიც აქ დღემდე არ დადგმულა: „გეგეჭკორი“, „მორევში“, „სტუმარ მასპინძლობა“ და სხვ. ეს უკანასკნელი საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქნა. **გ. ლა—შვილი**

**სოფ. საგარეჯოში** კარგა ხანია არსებობს სახ. თეატრი. ახლად აშენებულს ჰქონდა მთლიანი დეკორაციები, რიგიანი ფარდა, ტანსამოსი და სხვ. დროთა ვითარებაში ყველაფერი გაცვდა, დაიმტვრა, დაიკარგა. ზაფხულობით ესტუმრებიან სხვადასხვა საოპერეტო და დრამატიული დასები, ხოლო შემოდგომით სტოვებენ ისევე დანგრეულ, დამტვრეულს, როგორათაც იყო. ა. წ. უკვე საზამთრო სეზონში მოუხერხებელი შეიქნა წარმოდგენების გამართვა, სცენის მოუწყობლობისა და შენობის დაზიანების გამო. გამგეობის ენერგიული მუშაობით (ამხ. ა. ჯანგულაშვილის, არ. მუკატარიძის და სხვ.) თეატრმა ნელ-ნელა გამოცოცხლება დაიწყო. უკვე შეაკეთეს თეატრის შენობა, უყიდეს ახალი ფარდა, შეაკერინეს და აკერვინებენ ტანსამოსს, მიღებულია ზომები სცენის მოწყობილების და სკამების შესაკეთებლად. ა.-წ. 8 თებერვალს საზამთრო სეზონში პირველად დაიდგა გ. ერისთავის კომედია „თილისმის ხანი“ ა. ახუაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორობით. მონაწილეობდენ: ანუაშვილი, ნიკ. ქვლივიძე, ჯ. მჭედლიშვილისა, ალ. ბედიაშვილისა, თინა ჟვანია, ალ. მეზვრიშვილი და სხვა. პიესამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა.

**სოფ. ნინოწმინდაში** შეუდგნენ ადგილობრივი კლუბის მოწყობას. ადგილობრივ ძალების და საგარეჯოს ახგ-კომ-კავშირელების მიერ შეძლების დაგვარად იმართება წარმოდგენები ჯერაც მოუწყობელ კლუბის შენობაში. გლეხობა ძლიერ დაინტერესებულია კლუბის გახსნით. ისინი სიხარულით ესწრებიან წარმოდგენებს. პიესებში მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივი გლეხური ახალგაზრდობა.

**სოფ. გიორგიწმინდაში** კარგა ხანია იმართებოდა წარმოდგენები ეზოებში და ხან კერძო სახლებში. მთავარი დაბრკოლება იყო შენობის უქონლობა. ეს დაბრკოლებაც გადალახულია: ა.-წ. 5 იან. ზეიმით გაიხსნა გიორგიწმინდის კლუბი და თეატრი, დაიდგა გ. ხეჩუაშვილის პიესა: „მუშა—მგოსანი“ ალ. ბედიაშვილის რეჟისორობით. პიესაში მონაწილეობდენ ადგილობრივი გლეხები. საზეიმო საღამო გახსნა კომუჯრედის პ.-მ. მდივანმა სადაგიშვილმა. ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ვ. კანჯარაშვილმა და ალ. ბედიაშვილმა: შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს წითელ მეთაურთა სკოლის სახელით ამხ. გ მჭედლიშვილმა, პარტ-სკოლის სახელით: შ. ნაცვლიშვილმა და ადგილობრივმა გლეხებმა.

**სოფ. მანავში** კლუბი დაარსდა 1924 წ. ზაფხულში. კლუბის გახსნამდეც იმართებოდა ადგილობრივ სკოლის მოწაფეთა მიერ წარმოდგენები ეზოებში და სკოლის შენობაში. საკლუბო მუშაობა მოისუსტებს ძალთა უყოლობის გამო. ხანდისხან საგარეჯოს დრამ-წრის მიერ იმართება წარმოდგენები.

**სოფ. თოხლიაურში** ამ მოკლე ხანში გაიხსნება კლუბი.

**სოფ. ანთოკ-მარიამჯვარში** ხანდისხან საგარეჯოს დრამატიული წრის მიერ იმართება წარმოდგენები. გლეხობა მოწადინებულია კლუბის გახსნას.

ალ ბედიაშვილი.

**საჭამიასერის თემის** (გურია - ზემოხეთის და ნანეიშვილისეულის საზოგადოების ნაწილი) სცენის მოყვარენი 1903—1910 წ. წარმოდგენებს მართავდენ კრამიტის საწყობ კაზარმაში, კერძო სახლებშიაც. როდესაც ოთხკლასიან სასწავლებლისათვის ქვის დიდი შენობა ააგეს, სცენის მოყვარეებს მუშაობა გაუადვილდათ, ხალხიც ბლომად ესწრობოდა. ამ საქმის სულის ჩამდგმელი იყო ნიჭიერი სცენის მოყვარე იოაკიმე უშვერიძე. იგი ამ ასპარეზზე დაუღალავად მუშაობდა 1914 წლამდე. თავიდანვე კი ამ საქმის თაოსნობა და შესაფერი ძალების ჯამონახვა ითავა ადგილობრივმა მასწ. სიმონ რამიშვილმა, რომელიც მიუხედავად თავისი ჭაღარამოსილებისა, დღესაც განაგრძობს ამ დარგში მუშაობას.

სცენის მოყვარეთა ჯგუფს მიემატა ახალგაზრდა დიმიტრი დუდუჩავა, რომელიც დასს ხელმძღვანელობს როგორც საუკეთესო გ მგე და რეჟისორი. შენდება სახალხო სახლი და როცა სრულიად დამთავრდება - გადაიქცევა ამ რაიონის სხვადასხვა კულტურულ დაწესებულების ცენტრად.

არკ საჭამიასერელი

# ბიბლიოგრაფია

**„საზღვარზე“—ყოველთვიური ჟურნალი № 1. 1925 წ.**

გამოვიდა ახალი ჟურნალი „საზღვარზე“. სათაური სავსებით გამოხატავს იმ მიზნებს, რომლებიც დაუსახავს სარედაქციო კოლეგიას. მისი დანიშნულებაა ემსახუროს ქართველ ახალგაზრდებს, მოწაფეებს, მათი პოლიტიკური აღზრდის და გათვითცნობიერების საქმეში. ჟურნალს ხელმძღვანელობს ამხ. **მარიამ ორახელაშვილი,** რომლის სახელი საკმაოა რედაქციისათვის, რომ მან ღირსეზულად აასრულოს თავისი დანაპირები.

ჟურნალი პოპულიარულია და შიგ მოთავსებულია სხვა და სხვა ხასიათის ნაწარმოებნი და წერილები. აქ შეხვდებით: მხატვრულ ლიტერატურას, პუბლიცისტიკას, ეკონომიურ საკითხებს, კრიტიკას, ხელოვნებას და სხვა.

იმ მიზნების მიხედვით რომელიც დასახული აქვს ჟურნალს, ასეთი სისტემა მასალის შერჩევისა და დალაგებისა, ყველაზედ მიზანშეწონილია.

გარეგნულად ჟურნალი თავისი დანიშნულების შესატყვისია: სადა, ლამაზი და სუფთა გამოცემა. შეიცავს 76 გვერდს და ცალეულად 50 კაპ. ღირს. ფართოდ შემდეგ განიხილავთ. №

**შაქრო ნავთლუღელი** ლექსები ლენინის სხოვნას 14 გვ. ავტორისა და ლენინის სურათებით 15 კ.

**ნინო ნაკაშიძის** საბავშო ზღაპარი „კომბალე“ სახელმწიფო გამოცემა, ფერადი სურათებით, მსხვილი ასოთი და მარტივი ენით კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი. ასეთი გამოცემა ჩვენს მწერლობაში იშვიათია. ბავშვები სიამოვნებით წაიკითხავენ.

**ს. რერძონიძის** საბავშო მოთხრობები გამოვიდა.

## წვრილი ამბები.

**ვალ. გუნია,** რომელიც ამასწინად სრულიად საქართველოს ხელოვანთა ყრილობაზედ იყო წარმოგზავნილი ქუთაისიდან დელეგატად—ფილტვების ანთებით გახდა ავად (თებერვლის 12). ექიმ ა. არჯევანიძის მეცადინეობით ავადმყოფმა კრიზისი მშვიდობიანად გადიტანა და ამ ჟამად განკურნების გზას ადგია.

**პოეტი ვ. რუხაძე** ათი დღის წინად ყინულზე წაიქცა და ორივე მუხლი გაიტეხა. არამიანცის საავადმყოფოში გიფსით შეკვრის შემდეგ თავისავე ბინაზე მოათავსეს.

**დამსახურებული მასწავლებელი და მწერალი ალ. მირიანაშვილი** ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია და ლოგინად ჩავარდნილი, თავის ბინაზე (დიდუბე, საგურამოს ქ. № 13). ნივთიერად ძლიერ შევიწროვებულია და საჭიროებს დახმარებას. მოღვაწეობდა 42 წელი.

**კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით** ძუკუ ლოლუას გუნდმა თებერ. 27 სახელმწიფო კონსერვატორიაში საგანგებოდ მოწვეულ სტუმართათვის რამდენიმე სიმღერა შეასრულა. სიმღერებმა ფრიად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე დაესწრნენ კომპ. იპოლიტოვ-ივანოვი, აკ. ფალავა და სხ. იპოლიტოვ ივანოვმა მადლობა გადუხადა გუნდის ხელმძღვანელს და სურვილი გამოსთქვა გუნდი ჩამოყალიბდეს და მუდმივობის ხასიათი მიიღოს. ასევე თანაგრძნობით შეხვდა აკ. ფალავა და სხ. საჭიროა ამ გუნდს უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრან და დახმარებაც აღმოუჩინონ: გუნდს შეუძლიან სიმღერის ბევრი განძი გადუშალოს სამუსიკო ხელოვნებას.

**აკაკის საღამო** მარტის 10-ის შემდეგ გაიმართება რუსთაველის თეატრში.

**მიხ. ჯავახიშვილმა** დასწერა ორი ახალი მოთხრობა, რომელიც ჩქარა დაიბეჭდება. იგივე სწერს ახალ რომანს: „ნაცარქექია.“ რომანში დასურათებული იქნება ქართველი დონ-კიხოტი. ახლა ავტორი შეუდგა მეორე რომანის წერას სპარსელთა და ფერეიდანელ ქართველთა ცხოვრებიდან.

ხელმძღვანელი **კოლეგია**
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი**

ახლახანს გამოვიდა **მ. ჯავახიშვილის** ახალი რომანი **„ჯაყოს ხიზნები."** რომანმა საზოგადოების ყველა წრეში დიდი მითქმა-მოთქმა და ინტერესი გამოიწვია. ამის გამო „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქცია სთხოვს თავის მკითხველებს გვ-პასუხონ ქვემოდ დასმულ კითხვებზე. ყოველი საგულისხმო პასუხი ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება. ამ რომანის ერთ ნაწყვეტს მომავალ ნომერში დავბეჭდავთ.

1. ვინ არიან და რას გამოჰხატავენ (ცალ-ცალკე) თეიმურაზ ხევისთავი, მარგო, ჯაყო და ივანე?

2. როგორ არის გამოხატული ამ რომანში საქართველოს მახლობელი წარსული და ჩვენი დღევანდელი ვითარება?

3. როგორ არის შესრულებული რომანი ისტორიულად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად?

4. დაცულია თუ არა რომანის მთლიანობა?

5. როგორია ავტორის ქართული?

6. დამოუკიდებელია ავტორი თუ მიემსგავსება ვისმე?

7. რომელიმე ქართული ნაწარმოები (პროზა) შეედრება თუ არა „ჯაყოს ხიზნებს" და თუ შეედრება - რომელი და რა მხრივ?

რედაქცია

ფოტოგრაფი
ვ. ჩლაიძე
პლეხანოვის პრ., № 147
იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სურათებს
ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად საღებავებითაც
შეკვეთა სრულდება მხატვრულად
ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტეხნიკის თანახმად
სუფთად და თავის დროზე
(5—1)

ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი
(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)
ასრულებს ყოველგვარ
საფოტოგრაფიო სამუშაოს
სუფთად,
ხელოვნურად,
სწრაფად.
(8—6)

რესტორანი
„მცხეთა"
(ვერის დაღმართის ქიმში, ყოფ. ზემელის აფთიაქის ქვეშ)
ევროპიული და აზიური საჭმელები
ახალ-ახალი სანოვაგით
სადილი 1—6 საათამდე | ვახშამი ღამის 3 ს-მდე.
ყოველთვის მოიპოვება
მცხეთის პიროშკი
[illegible]
პატივისცემით **სერგო კახეთელიძე**

ექიმი ა. დ. ალექსიძე
(რტიშჩევის ქ. № 10)
მენაობა და ქალთა ავადმყოფობა
იღებს ავადმყოფობებს საღამოობით 4—7 ს., სამშაბათს გარდა
10—2

ფოტოგრაფ
კ. ნიკოლენკოს
სინათლით წერის სახელოსნო
ტფილისი, პლეხანოვის პრ., № 107
ასრულებს ყოველგვარ
სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოესკიზებს და სხ.
ადიდებს სურათებს.
ღიაა ყოველდღე დილის 10 ს. საღ. 5 ს.